ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

29 ოქტომბრიდან! „ახალი თაობა“+ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ტომი 2

8 ლარი




ხუთშაბათი, 1 ნოემბერი, 2012 | №260 (5950) | ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალები ციხეში ბუნტს გეგმავენ!



გვ.5

ლალი მოროშკინა: „ჩვენ გვყავს სახსრებში, ძვლებსა და წელში გადატეხილი პატიმრები“

## გია ცაგარეიშვილი: „ახალი პარლამენტის აშენება 400 მილიონი დაჯდა“

გვ.2



## ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს ახალი მთავრობაც უშლის

გვ.3



გვ.3

## ნოდარ ხადური: „ანაკლიაში კაფე ბიუჯეტის ხარჯზე აშენდა“

## ნანა კაკაბაძე: „საქართველოში კვლავ ორხელისუფლებიანობაა“



გვ.2



გვ.4

## ალასანიამ მოადგილეები დაასახელა

წავა თუ არა სასწავლებლად გიგი კალანდაძე



გვ.6

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „რუსთავის №16 დაწესებულებაში ბუნტის საფუძველი არ არსებობს“

გია გვაზავა: „კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატია უნდა გამოვიყენოთ“

გვ.4





გვ.6

დავით დარახველიძე: „აუცილებლად გამოვავლენთ თაღლით დევნილებს“

24 ოქტომბრიდან! „ახალი თაობა“ + ნელსონ მანდელა

8 ლარი




ISSN 1987-9385

3 ნაციონალები „ქართულ ოცნებას“ ზენოლაში ადანაშაულებენ

3 ხიდაშელი „შანტაჟის და ზეწოლის“ დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენას ითხოვს

6 დევნილებმა უნარშეზღუდულთა შენობებს შეუტიეს
ისინი ინვალიდთა უფლებების დამრღვევებად იქცნენ

7 „მეათეკლასელები პირველკლასელების მერხებზე სხედან“
რა ხდება 68-ე სკოლაში

# ნანა კაკაბაძე: „საქართველოში კვლავ ორხელისუფლებიანობაა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან



*— ქალბატონო ნანა, ვხედავთ, როგორი დიდი ამბავია ატეხილი სახალხო დამცველის თანამდებობაზე. სხვადასხვა ჯგუფების მიერ ხდება სხვადასხვა კანდიდატურების დასახელება და შემდეგ მიმდინარეობს დებატები ამა თუ იმ კანდიდატურაზე. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ყველაფერთან დაკავშირებით?*

— ჩემთვის ძალიან უცნაური გახდა ასეთი სახით ბრძოლა სახალხო დამცველის თანამდებობაზე. ჩვენ იმდენი სახალხო დამცველი ვნახეთ დათოდან დაწყებული, გიორგი ტუღუშით დამთავრებული, რომ საზოგადოება უკვე უნდა ხდებოდეს, რომ არ შეიძლება ახლა რაღაც შეცდომის დაშვება და ეს ადგილი არ შეიძლება დათმობილ იქნას ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ამას ვერ გაართმევენ თავს, ან არ გაართმევენ. იქ უნდა იყოს ადამიანი, რომლის მიმართაც, ისეთ ადამიანებს, ვისი უფლებებიც შელახულია და ვისიც შეიძლება შეილახოს, ეს ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ სწორედ ეს არის ის ადამიანი, რომელიც აუცილებლად დაიცავს ჩვენს უფლებებს. აქედან გამომდინარე, მე არ მეგონა, რომ ამდენი კანდიდატი გაჩნდებოდა და მიდგომები ექნებოდა ისეთი, როგორიც დღეს აქვს სხვადასხვა ლობისტურ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ კანდიდატებს. ძალიან ხშირად ისმის ასეთი გამონათქვამები, რომ რა მნიშვნელობა აქვს, მას იცნობს თუ არა საზოგადოება და მას ჰქონია თუ არა შეხება ადამიანის უფლებათა დაცვაზე. მთავარია, რომ ჩვენ ეს გვინდა და რატომ გვინდა, ამაზე საუბარი არ არის. არ მიდის საუბარი იმაზე, რომ ვინ არის ეს ადამიანი საერთოდ? თუ მოღვაწეობდა ამ სფეროში, მაშინ საქმეები ხომ უნდა ვიცოდეთ, ეს ადამიანები ვის იცავდნენ, რას იცავდნენ, რა პოზიციას იცავდნენ, როგორი კატეგორიის ადამიანებს იცავდნენ. ეს ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ. ვისი დამცველები იყვნენ ისინი ამ წლების განმავლობაში. დღეს ხდება ლობისტური ჯგუფებით ადამიანების ლობირება და არა მათი საქმიანობით. საზოგადოებას უნდა აინტერესებდეს საქმე. ომბუდსმენს უნდა ლობირებდეს არა ლობისტური ჯგუფი, არამედ მისი განვლილი ცხოვრება და მისი საქმიანობა. ეს არის პრიორიტეტული დღეს.

*— საუბარია, რომ ერთ-ერთ კანდიდატს თავისუფლების ინსტიტუტი ლობირებს...*

— დიახ, ასეა და მე მაინტერესებს, სწორედ ვიცოდე საქმეები და ადამიანები, ვის დაცვაშიც ამ ადამიანს მიუღია მონაწილეობა და იმ ადამიანების პოზიცია, ვინც მის მიერ იყო დაცული. საინტერესოა, როგორ უყურებენ ისინი მას, როგორც მომავალ სახალხო დამცველს. ლობისტური ჯგუფები საერთოდ არ უნდა ლობირებდნენ სახალხო დამცველს. სახალხო დამცველს უნდა ლობირებდეს მისი განვლილი ცხოვრება. აი, ეს არის მნიშვნელოვანი ჩემთვის.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოების წიაღიდან უნდა წამოვიდეს ინიციატივა?*

— რა თქმა უნდა, საზოგადოების წიაღიდან უნდა მოდიოდეს ინიციატივა და, რაც მთავარია, ჩვენ უნდა ვიცოდეთ კონკრეტული ადამიანები, ვინ დაუცავს და რა კატეგორიის საქმეებს იცავდა ეს ადამიანი.

*— რატომ დაინტერესდა ასე ძალიან თავისუფლების ინსტიტუტი სახალხო დამცველის თანამდებობით? ესეც კითხვის ნიშნებს აჩენს...*

— ეს ხალხი არ თმობს პოზიციებს. მიუხედავად იმისა, რომ ომი წაგებულია, ისინი არ თმობენ პოზიციებს და არ ნებდებიან რეალობას. ფიქრობენ, რომ ყველა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობებია თუ ადგილები, სადაც შეძლებენ გამაგრებას, იქ უნდა „გამაგრდნენ“. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის ომბუდსმენის ინსტიტუტი, საიდანაც შემდგომ შეძლებენ თავისი პოზიციების ლობირებას და ალბათ ამიტომ.

*— იმიტომაც ხომ არა, რომ შესაძლოა მათი გუნდის ბევრი წევრი აღმოჩნდეს დასაცავი?*

— მათი გუნდის წევრები თუ აღმოჩნდებიან და, ბუნებრივია, უნდა აღმოჩდნენ დასაცავთა რიგებში, მას უნდა იცავდეს ადამიანი, რომლისთვისაც ღირებულებებია მნიშვნელოვანი. ადამიანის უფლებათა დამცველისთვის სულ ერთია, ვისი უფლება ირღვევა. სახალხო დამცველის მთავარი ფუნქცია არის, რომ მან ხელისუფლების წარმომადგენლის ძალადობისგან უნდა დაიცვას ადამიანი და ხელისუფლებას არ უნდა მისცეს საშუალება, გავიდეს კანონიდან და კანონის გვერდის ავლით მოახერხოს პიროვნების დასჯა. აქ სულ ერთია, ვინ იქნება, ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი თუ სხვა ადამიანი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ხელისუფლებამ არ დაარღვიოს კანონი. აი, ამას უნდა იცავდეს სახალხო დამცველი. მე არა მგონია მარტო ეგ იყოს მათი მთავარი მიზანი, იმიტომ, რომ ისინი არც ფიქრობენ და არც ელიან, რომ მათი დაცვა ვინმეს მოუხდება, უფრო მეტად ისინი ფიქრობენ, რომ ეს არის ისეთი ინსტიტუტი, სულ რომ არავინ არ იყოს ამ თანამდებობაზე და ჯოხიც რომ იდოს, ისეთი თანამდებობაა, რომ მას საერთაშორისო ორგანიზაციებთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობები, მისი აზრი არის გასათვალისწინებელი უცხოელებისთვის და ისინი აქედან უფრო შორს წასვლას და სხვა რამეს გეგმავენ და არა იმას, რომ კონკრეტული ადამიანის უფლება იქნეს დაცული. მე მგონი, მათ ეს უფრო პოლიტიკური ხაზით სჭირდებათ, ვიდრე უფლებადაცვითი.

*— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ამ კუთხით როგორია თქვენი შეფასებები?*

— მიმდინარე პროცესებს რაც შეეხება, ძალიან არაორდინალური სიტუაციაა და სახელმწიფოსთვის არასასურველი, როდესაც ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ორხელისუფლებიანობაა. კი არის ქვეყნები, მაგალითად, საფრანგეთი, სადაც შეიძლება, რომ პრეზიდენტი იყოს ოპოზიციაში, მაგრამ იქ სულ სხვა არის პრეზიდენტის როლი. ჩვენნაირი ტიპის ქვეყანაში, ასეთმა ორხელისუფლებიანობამ შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას სახელმწიფოს. ეს კონსტიტუცია, რომელიც დღეს ასეთი მახინჯი კვაზი ფორმით არსებობს, სახელმწიფოებრივ საფრთხეს ქმნის მისი მახინჯი კანონმდებლობა, რომელიც მორგებული იყო ერთ კაცზე, ერთ ჯგუფზე და არ ითვალისწინებდა იმას, რომ შესაძლო იყო ოდესმე ეს რეალობა შეცვლილიყო და ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსულიყო სხვა ძალა. ეს კონსტიტუცია ამაზე არ იყო გათვლილი, ის გათვლილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი პიროვნების ძალაუფლებასა და ერთი გუნდის ინტერესებზე. ამან საბოლოო ჯამში სერიოზული პრობლემები შექმნა. აქედან გამომდინარე ის, რომ გაყოფილია თვითმმართველობები და ძალაუფლების ნახევარზე მეტი ფაქტიურად გაუგებარი ძალის ხელშია. პრეზიდენტი, რომელიც არის ქვეყნის პირველი პირი, ოპოზიციაშია, პრეზიდენტი, რომელიც არის მთავრობის მეთაური – ოპოზიციაშია, პრეზიდენტი, რომელიც არის მთავარსარდალი – ოპოზიციაშია და პრეზიდენტი, რომელსაც აქვს პარლამენტის დაშლის კონსტიტუციური უფლება – ოპოზიციაშია. ეს არის ანომალია, არ შეიძლება ასეთი რაღაც ნორმალურად ჩაითვალოს. ეს გუნდი, რომელსაც ამხელა ძალაუფლება აქვს, ამბობს, რომ ვარ ოპოზიციაში. მხოლოდ და მხოლოდ იმ ნიშნით, რომ 10 თუ 15 კაცით ნაკლები დეპუტაცია ჰყავს პარლამენტში, მხოლოდ ამ ნიშნით არის უმცირესობაში. ეს ასე არ უნდა იყოს, ხალხის არჩევანი, რაც ხალხმა გააკეთა პირველ ოქტომბერს, მას რეალური ასახვა უნდა მოეპოვებინა პოლიტიკაზეც. რეალურად ხალხის არჩევანი იყო ის, რომ ძალაუფლება ხალხმა, აი ამ გუნდიდან გადასცა სხვა გუნდს. ჩვენ ვხედავთ, რომ მასობრივად შეიზღუდა და შეიბღალა იმ ადამიანების უფლებები, რომლებმაც გააკეთეს ეს არჩევანი. უმრავლესობის უფლებები შეილახა და დემოკრატია არის უმრავლესობის მმართველობა. ხალხის უმრავლესობამ აირჩია, რომ ეს გუნდი იყოს ხელისუფლებაში და უმრავლესობაში და ამისი სრული გადაცემა არ მოხდა. აი, ეს ძალიან ცუდია, თუმცა ნელ-ნელა, სხვადასხვა მექანიზმებით, თვითონ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორით, ძირითადად რაღაცა საკითხები რეგულირდება, მაგრამ ძალიან ცუდია, როდესაც იმ ნორმალიზაციას სჭირდება პიროვნების ავტორიტეტი და პიროვნების შესაძლებლობები და ამ სიტუაციაში უძლურია კანონი. ეს რის ძალიან ცუდი და ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ეს კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს, ის ასეთი მახინჯი ფორმით არ უნდა არსებობდეს, რა ფორმითაც დღეს არსებობს. ხალხის არჩევანი უნდა იყოს ასახული იმ დოზით და იმ ხარისხით, რა დოზითაც ხალხმა ეს არჩევანი გააკეთა.

*— წინააღმდეგ შემთხვევაში ალბათ იქნება იმედგაცრუება საზოგადოებაში...*

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი იქნება იმედგაცრუება. თუნდაც საკადრო პოლიტიკაზე როცა ვსაუბრობთ და როცა მიდის ლაპარაკი, რომ იქ პოლიტიკური რეპრესიები არ წავა, ან როგორ შეიძლება პოლიტიკური რეპრესიები წავიდეს, მაგრამ ის, რომ სერიოზულ სამინისტროებში დარჩეს ძალა, რომელსაც შეუძლია ხვალ ამოაყირავოს და ამოატრიალოს სამინისტრო და საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს, ეს ძალიან ცუდია. სამწუხაროდ, ასეთი საფრთხეები დღეს არსებობს და აქედან გამომდინარე ყველაზე მეტ ზარალს ვინც მიიღებს, ეს არის საზოგადოება და მხოლოდ ხალხი დაზიანდება. ამიტომ არის ძალიან სწორი და ფრთხილი პოლიტიკა გასატარებელი. ბუნებრივია, ერთი მხრივ, ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური რეპრესიები და მეორე მხრივ, არ უნდა მოხდეს ის, რომ ხალხის ამხელა რისკი, გამბედაობა და ბრძოლა იმისათვის, რომ შეიცვალოს ქვეყნის კურსი, შეიცვალოს ხელისუფლება, არ უნდა დარჩეს სანახევროდ და სათუოდ. გააკეთა ხალხმა არჩევანი? ეს არჩევანი უნდა მივიდეს ბოლომდე. დღესდღეობით კი ეს არ ხერხდება, ვერ ხერხდება უამრავი მიზეზის გამო. იმ საკანონმდებლო ბაზის გამო, რომელიც არსებობს. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს პოლიტპატიმრების გათავისუფლება, დაუყონებლივ უკანონო პატიმრების გათავისუფლება, მაგრამ ისეთი კანონმდებლობა დახვდა ამ ახალ ხელისუფლებას, რომ ძალიან დიდი სურვილის მიუხედავად, ეს ყველაფერი დროში იჭიმება და ვერ ხერხდება. ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით, რომ ის კომისიები, რომლებიც მუშაობდნენ ვადამდელ გათავისუფლებაზე, არ ფუნქციონირებენ, ხალხს არ ათავისუფლებენ, ეს სრული სიმართლე აღმოჩნდა. დღეს ამის განხორციელება მინიმალისტურად არის შესაძლებელი.

*— ამაში რა იგულისხმება?*

— იმას ვგულისხმობ, რომ საბჭოები, რომლებიც არსებობდნენ და რომლებიც იხილავდნენ ვადამდელ გათავისუფლებას, მას პატიმართა უმრავლესობა არ მიმართავდა გათავისუფლების თხოვნით, რადგან იცოდნენ, რომ ეს არ მუშაობდა და არც მიმართავდნენ ამ კომისიებს. ვინც მიმართა მათ, 80%-ს უარი აქვთ ნათქვამი. ახლა, როცა რეალობა შეიცვალა, აღმოჩნდა, რომ პატიმართა უმრავლესობას მიმართული არ აქვს, ვინც მიმართა, იმათ უარი აქვთ ნათქვამი, ხოლო თუ არა გაქვს მიმართული საბჭოზე, მაშინ შენ ვერ თავისუფლდები. ამ საბჭოებსაც უკვე ვადა ამოეწურათ. ახლა, როდესაც პატიმრებმა გაიგეს, რომ შესაძლებელია გათავისუფლდნენ ვადამდე საბჭოებით, ახალი საბჭოების შექმნას უნდა დაელოდონ, ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება. ახალ ხელისუფლებას ისეთი საკანონმდებლო ბაზა დაახვედრეს, რომ დღეს საზოგადოება ნაკლებად გრძნობს და ხედავს იმ შედეგს, რა შედეგიც ახალი ხელისუფლების მოსვლას უნდა მოჰყოლოდა. ძველი ხელისუფლება კვლავ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა. მაინცდამაინც დღეს გაიღვიძა ყველა დევნილმა და ახლა გაახსენდათ, რომ ამ 9 წლის მანძილზე უბინაოდ იყვნენ?! ეს ბერკეტები აქვს ისევ ძველ ხელისუფლებას, რომელსაც იყენებს არა მარტო დღეს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ იყენებს საზოგადოების წინააღმდეგ. ეს კი ნამდვილად არ არის საზოგადოების ინტერესებში. საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი და ეს არჩევანი იყო ის, რომ ეს ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო, არსებულმა კონსტიტუციამ კი არ უზრუნველყო ხალხის არჩევანი და ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული რეალობაში.

# გია ცაგარეიშვილი: „ახალი პარლამენტის აშენება 400 მილიონი დაჯდა“

თეა მარხვაიძე



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი პარლამენტის თბილისში დაბრუნებას ითხოვს. დეპუტატს უსინდისობად მიაჩნია, რომ გაჭირვებულ ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანო განცხრომას მიეცეს. ახალი პარლამენტის შენობა კანონმდებლებს ამის საშუალებას აძლევს.

ცაგარეიშვილს არც ის მოსწონს, რომ შუალედური არჩევნები მომავალი წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. მოგეხსენებათ, რომ მალე მეოცნებეებს პარლამენტში 3 კაცი დააკლდებათ. მათი სამი მაჟორიტარი დეპუტატი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადავიდა. ამის გამო მათ დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდებათ. მეოცნებეებს კი ერთი დეპუტატის დაკარგვის ფუფუნებაც არა აქვთ. მათ ახლა ჰაერივით ესაჭიროებათ საკონსტიტუციო უმრავლესობა.

ამის გარდა, არ შეიძლება, რომ რაიონები მაჟორიტარების გარეშე დარჩნენ. ვერ გეტყვით, რომ ისინი თავებს იკლავენ მუშაობით, მაგრამ რაიონს მაინც სჭირდება ხმა პარლამენტში.

— საქართველოს სამ საარჩევნო ოლქში – ნაძალადევში, ბაღდათსა და სამტრედიაში მაჟორიტარი დეპუტატობის ხელახალი არჩევნები, შესაძლოა, ერთ წელზე ნაკლებ ვადაში დაინიშნოს. დიახ, ჩვენ ვფიქრობთ ამაზე. ერთი წელი ეს არის საკმაოდ დიდი ვადა. სამტრედია, ბაღდათი, ნაძალადევი ეს იყო ის ოლქები, სადაც ჩვენ დიდი ბრძოლის შედეგად გავიმარჯვეთ. რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობას ამ ოლქებში სჭირდებათ ქმედუნარიანი დეპუტატი და ერთი წელი ძალიან დიდი ვადაა. სულ ოთხი წელი ვმუშაობთ ჩვენ ამ პარლამენტში, ანუ გამოდის, რომ მესამედი ამ ვადისა ოლქი უნდა იყოს „უპატრონოდ“, დეპუტატის გარეშე, ეს არასწორია. წინა მოწვევის პარლამენტში ერთ წელზე ეს ვადა ნაცმოძრაობამ სპეციალურად გაწელა.

ეს ნაცმოძრაობამ შეგნებულად გააკეთა, რადგან მათ საერთოდ არ ადარდებდათ ის, რაც ოლქებში ხდებოდა. მათ მაჟორიტარებს ყველანაირი კონტაქტი ჰქონდათ გაწყვეტილი ოლქებთან. ოთხი წლის მანძილზე თავიანთ ოლქზე ხმა არ ამოუღიათ, არ სტკიოდათ ოლქის სატკივარი, ამიტომ მიიღეს პასუხი 1 ოქტომბერს. მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს მაჟორიტარს თავის ოლქთან. რეგლამენტით დეპუტატებს ძალიან მკაცრი წესები გვაქვს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს ახალი მთავრობაც უშლის



ნათია ხურცილავა

მთავრობის კანცელარიაში მთავრობის პირველი სხდომის გასაშუქებლად მისულ ჟურნალისტებს შეცვლილი მინისტრები და პრემიერი დაგვხვდა, თუმცა ჟურნალისტებთან დამოკიდებულება უცვლელი.

ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის სრულფასოვნად გაშუქების შესაძლებლობაზე უარი გვითხრეს. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ყოფილ ხელისუფლებას ოპოზიციაში ყოფნის დროს სწორედ ინფორმაციის დახურვას და ჟურნალისტების იგნორირებას უწუნებდა, როგორც ჩანს, ეს პოზა კომფორტული აღმოჩნდა ბევრი ახალი მინისტრისთვისაც.

საზოგადოებისთვის ცნობილი რომ იყოს, ახალმა პრემიერ-მინისტრმა პირობა დადო, რომ პრესასთან ურთიერთობის პრობლემა არც პირადად მას და არც ერთ მის მინისტრს არ ექნებოდა.

მე-12 სართულზე, სადაც მიმდინარეობდა მთავრობის სხდომა, იქ თავიდან ჟურნალისტები არ აუშვეს და მე-3 სართულზე მოგვიწია ლოდინი.

აღსანიშნავია, რომ მინისტრების უმრავლესობა მე-12 სართულზე პირდაპირ პირველი სართულიდან ავიდა, რის გამოც მედიის წარმომადგენლებს მათი ჩაწერის შესაძლებლობა არ მოგვეცა. ერთადერთი გამონაკლისი, ვინც ჟურნალისტების „გავლით“ ავიდა მე-12 სართულზე მთავრობის სხდომაზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იყო, რომელიც მზად იყო ჟურნალისტების კითხვებისთვისაც ეპასუხა.

ასევე გაუგებარი იყო, თუ რატომ არ დაურიგეს ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დღის წესრიგი.

ჟურნალისტების პროტესტის შემდეგ პრესსამსახურმა, როგორც ჩანს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებაზე უარი ეთქვა და ტრადიციულად ჟურნალისტების კითხვებისთვის მინისტრებს ეპასუხათ.

შეგახსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილის პრემიერობის დროს მთავრობის სხდომის გაშუქება ასევე პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან მაშინ ჟურნალისტებს საერთოდ არ იბარებდნენ. კერძოდ, სხდომას მხოლოდ მთავრობის კამერა იღებდა, ვიდეო-ჩანაწერი კი ტელევიზიებს ურიგდებოდა. სხვა მედია საშუალებას კი ვანო მერაბიშვილი უბრალოდ არ ცნობდა.



## ნაციონალები „ქართულ ოცნებას“ ზეწოლაში ადანაშაულებენ

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ზეწოლაში ადანაშაულებს. როგორც პარლამენტის დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ლაპარაკია ფოთის, საგარეჯოსა და რუსთავის საკრებულოებზე, სადაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ნაციონალური მოძრაობის წევრების წინააღმდეგ შანტაჟს მიმართავენ, რათა ამ უკანასკნელებს მერებისა და გამგებლების თანამდებობებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატურების არჩევა აიძულონ.

ამ პროცესში კონკრეტული რაიონების მაჟორიტარი დეპუტატებიც მონაწილეობენ. ეს კი, ბეჟაშვილის შეფასებით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის შედეგების ნიველირებაა.

„ეს ადგილობრივი თვიმმართველობის დონეზე ძალაუფლების უზურპაციად უნდა შეფასდეს. მუნიციპალიტეტებში წარმომადგენლობითი ორგანოები 4 წლის ვადით არიან არჩეულნი და ვითხოვთ, რომ მათ კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედების საშუალება მიეცეთ“, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა. მან ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირების თხოვნით სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა.

მედიანიუსი

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად მაია ხასია დაინიშნა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის თანამდებოაბზე მაია ხასია დანიშნა.

ცნობისთვის: მაია ხასია სასჯელაღსრულების სისტემაში სხვადსხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ნამუშევარი აქვს იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორშიც. ასევე კურირებდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფს.

მედიანიუსი

# ნოდარ ხადური: „ანაკლიაში კაფე ბიუჯეტის ხარჯზე აშენდა“

ნათია ხურცილავა



შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთ მოადგილედ ალეკო ტაბატაძის დანიშვნამ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კითხვის ნიშნები გამოიწვია. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვაზე ტაბატაძესთან დაკავშირებით გავრცელებული ფარული ჩანაწერი რამდენად რეალურია? ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი ასე პასუხობს:

– ალეკო ტაბატაძესთან დაკავშირებით გავრცელებული ვიდეომასალა ფაბრიკაცია იყო.

ეს იყო ფაბრიკაცია და ამის არავის სჯერა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის მოადგილესთან დაკავშირებით, რომელიც სამინისტროში ორი დღის წინ წარადგინა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ თუ სამინისტროში იქნება რაიმე დარღვევები, დაიწყება გამოძიება. შსს-მ სექტემბერში გაავრცელა ვიდეომასალა საჯარო მოხელეების, მათ შორის პოლიციელების მოსყიდვასთან დაკავშირებით, რომელშიც ალეკო ტაბატაძეც ფიგურირებდა.

ღარიბაშვილმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარადგინა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დავით სინარიძე უხელმძღვანელებს.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის ამოსავალი ღირებულებები კანონიერება, სამართლიანობა და ჰუმანიზმი უნდა იყოს.

– დავით სინარიძე საპატრულო პოლიციაში ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებდა. ამ სამსახურის შექმნის საქმეში მას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის და დარწმუნებული ვარ, გააზრებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რასაც თანამდებობა აკისრებს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პირველი დავალება სინარიძესა და საპატრულო პოლიციის შემადგენლობას ღარიბაშვილმა საჯაროდ მისცა.

– დარჩნენ შეურიგებელი ყოველგვარი უკანონობის გამოვლინებასთან, დაიცვან ჩვენი მოქალაქეების თავისუფლება და უსაფრთხოება. ქვეყანა უნდა ჩადგეს სტაბილური განვითარების კალაპოტში, უნდა დასრულდეს ის გამარჯვების ეიფორია, რომელიც არსებობდა. ვიცი, რომ იყო გარკვეული დემორალიზება და მოშვებულობა, მაგრამ ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს და პატრულმა უნდა გააგრძელოს ხალხის სამსახურში ყოფნა. არ უნდა დავუშვათ, რომ რაიმე ტიპის გართულებას ჰქონდეს ადგილი, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა და აღნიშნა, რომ საპატრულო პოლიციას ყოველთვის ჰქონდა და ექნება მისი მხარდაჭერა.

სინარიძე 1997 წლიდან მუშაობდა გამომძიებლად, გარდა ამისა, იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის კონსულტანტი.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, რომ „2013 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება“.

მისი თქმით, ბიუჯეტში სახსრები სერიოზულად გადანაწილდება და მოხმარდება ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელზეც მთავრობა საუბრობს.

– ეს იქნება ჯანდაცვა, კერძოდ, საყოველთაო დაზღვევა, ასევე პენსიების მოწესრიგება. მომავალ წელს დაიწყება პენსიების მიახლოება საარსებო მინიმუმთან. ეს ეხება ასევე განათლების სფეროს და გარდა ამისა, ბიუჯეტი გაზრდის სოფლის მეურნეობის დაფინანსებას, ალტერნატიული სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ჟურნალისტების კითხვაზე, შეუმცირდებათ თუ არა ძალოვან სტრუქტურებს დაფინანსება, ხადურმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ოპტიმიზაციაზე, არის გარკვეული ტიპის დანახარჯები, რომლებზეც სამუშაო შეხვედრები აქვს თავის კოლეგებთან, კერძოდ, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებთან.

ხადურის განცხადებით, პირველი მაგალითი იქნება ის, რომ ფინანსთა სამინისტრო შეიმცირებს უწყების დაფინანსებას 10%-ით, კერძოდ, 10 მილიონი ლარით.

მანვე იმედი გამოთქვა, რომ ანალოგიურ წინადადებას დღეს და ხვალ წარადგენენ შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის მინისტრები. ამასთან, ნოდარ ხადურის განცხადებით, ეს არ ნიშნავს, რომ თანამშრომლებს ხელფასები შეუმცირდებათ.

მისი თქმით, იქნება საკადრო ცვლილებები, მაგრამ პროფესიონალებს არ დაითხოვენ სამსახურიდან. როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, 2013 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე კვირის ბოლოს მთავრობის სხდომაზე იმსჯელებენ.

არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დახარჯული თანხების მიზნობრიობა ეჭვქვეშ დგას, – ამის შესახებ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მისი თქმით, შესრულებული სამუშაოებისთვის გადარიცხული თანხებიც ეჭვქვეშ დგას.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეჭვქვეშ დგას ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის დახარჯული თანხებიც. ამის მაგალითად ხადურმა ქუთაისის პარლამენტის შენობა მოიყვანა, რომელიც მისი თქმით, 340 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა, თუმცა ეს შენობა პრაქტიკულად გამოუსადეგარია.

– ერთადერთი, რაც იქ კარგია, დარბაზია. პრაქტიკულად, წარმოუდგენელია აპარატის მუშაობა. უფრო მეტიც, ადამიანებს ბამბები აქვთ ყურებში, ისეთ ხმაურს გამოსცემს კონდიცირების სისტემა, – განაცხადა ხადურმა.

მისი თქმით, უნდა იყოს შესწავლილი, რეალურად რა დაჯდა ეს შენობა და რატომ არის ასეთი უხარისხო, როდესაც ამდენი ფულია დახარჯული.

– იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ წვიმის კი არა, ნამის დროსაც შენობაში წყალი ჩადის. ანალოგიურია ბევრი პროექტი, მაგალითად, არ ვიცი, რატომ უნდა აეშენებინა საქართველოს ბიუჯეტს ანაკლიაში კაფე და ამაში 2 მილიონი ლარი გადაეხადა, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისი თქმით, ბოლო სამ წელიწადში დაახლოებით მილიარდ ლარს შეადგენს ასეთი ტიპის ხარჯები. ხადურის თქმით, ამ ხარჯების მიზნობრიობა უნდა დადგინდეს და ამ საკითხს სამინისტრო სწავლობს.

გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ ინფორმაცია ყველა ასეთი ხარჯის შესახებ გადაეგზავნოს პროკურატურას.

მინისტრი ასევე არ გამორიცხავს, რომ საქმეში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ჩაერთოს და ასევე მოწვეული იყოს ალტერნატიული აუდიტიც.

ჟურნალისტების კითხვებს ვრცლად უპასუხა სოზარ სუბარმა. მთავარი კითხვა რუსთავის ნომერ მე-16 დაწესებულებაში განვითარებული მოვლენები იყო.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი რუსთავის №16 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტს ეხმაურება და მას ე.წ. ავტორიტეტებს უკავშირებს.

– გუშინ რუსთავის №16 დაწესებულებაში იყო არეულობის მცდელობა და დღესაც გრძელდება. სიტუაცია მარტივია, აქ არიან ე.წ. ავტორიტეტები, რომლებსაც ყოფილი ხელისუფლება ვითომ ებრძოდა, მაგრამ სინამდვილეში მათ ძალიან ბევრი გავლენა ჰქონდათ. ამ გავლენების გაგრძელებას ჩვენ აღარ დავუშვებთ, ციხეებს მართავს ადმინისტრაცია და არა სხვა ვინმე, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე განმარტებით, დაასრულებს ეპოქას, როცა ციხეებს კრიმინალები და ავტორიტეტები მართავდნენ.

– ყველას უფლება იქნება დაცული, მაგრამ არ ეყოლება არავის უფრო მაღალი დამცველი, ვიდრე არის მინისტრი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი. ჩვენ აღარ დავუშვებთ, ციხეებს მართავდნენ კრიმინალები და ე.წ. ავტორიტეტები, – განაცხადა სუბარმა.

სუბარის განცხადებით, ზუსტად იცის, რას მოჰყვა რუსთავის მე-16 დაწესებულებაში მომხდარი ინციდენტი, თუმცა ამის შესახებ ჯერ ვერ იტყვის.

– ზუსტად ვიცი, რას მოჰყვა ეს ყველაფერი, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი. ეს შესაძლოა, რამდენიმე დღეში გახდეს ცნობილი საზოგადოებისთვის. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ იქ დაამზადეს ასევე სასმელი „ბრაგა“ და სწორედ ამას მოჰყვა არეულობის მცდელობა. ბუნებრივია, ამ სასმელის მომზადებას გარკვეული პროდუქცია სჭირდება და, როგორც ჩანს, ამის შეტანა ციხეებში აქამდე შესაძლებელი იყო. იყვნენ ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ – დავძაბავთ სიტუაციას თუ ცოტათი თავისუფლება არ იქნება. რადგან ამაზე არ დავთანხმდით, მოითხოვეს დირექტორის წასვლა. ასეთ მოთხოვნებს არ გავითვალისწინებთ. თუ რომელიმე ციხის თანამშრომელი დაარღვევს კანონს და ვინმეს უფლებებს, პირველი, ვინც მის მიმართ მკაცრ ზომებს გაატარებს, მე ვიქნები. – განმარტა სუბარმა.



## ხიდაშელი „შანტაჟის და ზეწოლის“ დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენას ითხოვს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, „რესპუბლიკელი“ თინათინ ხიდაშელი ლევან ბეჟაშვილს „ქართული ოცნების“ მხრიდან განხორციელებული „შანტაჟის და ზეწოლის“ დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენას სთხოვს.

როგორც ხიდაშელმა „ინტერპრესნიუსს“ ბეჟაშვილის განცხადების კომენტირებისას განუცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ბოდიშის საჯაროდ მოხდას მოსთხოვს.

„ლევან ბეჟაშვილის განცხადება, თითქოს საკრებულოებშიც, მათ შორის საგარეჯოს რაიონში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების გადმობირება ან შანტაჟი ხორციელდება, უპასუხისმგებლო განცხადებაა. მას მოუწევს, წარმოადგინოს იმ პირთა სახელები და გვარები, ვინც აღნიშნულ მოქმედებას ახორციელებს. დამთავრდა ის დრო, როდესაც საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და ტყუილები უპასუხოდ რჩებოდა, ამიტომ თითოეულ მსგავს განცხადებაზე „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკრეტიკა მოეთხოვება“, – აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

2012, 1 ნოემბერი, №260

# ალასანიამ მოადგილეები დაასახელა

## წავა თუ არა სასწავლებლად გიგი კალანდაძე

თეა მარხვაიძე



თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, როგორც იქნა, თავისი მოადგილეები დაასახელა. მოადგილეების დასახელების შემდეგ ალასანიას გაერთიანებული შტაბის ახალი უფროსის მოძებნა მოუწევს. გავრცელებული ინფორმაციით, გაერთიანებული შტაბების უფროსს გიგი კალანდაძეს თანამდებობა დეფაქტო უკვე დატოვებული აქვს.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სააკაშვილი კალანდაძის მეშვეობით აპირებდა ალასანიასთვის პრობლემების შექმნას. ბოროტი ხმები ირწმუნებიან, რომ სწორედ ამ მიზნით დანიშნა შტაბის უფროსად 32 წლის გენერალი. ეს ცვლილება უმაღლესმა მთავარსარდალმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განახორციელა.

წინა კვირაში გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი კალანდაძეს და რამდენიმე მაღალჩინოსანს შეხვდა. პრეზიდენტმა მათ პირობა მისცა, რომ ძალიან მალე ხელისუფლებაში ისევ ჩვენ დავბრუნდებითო. ამაში კი მათი დახმარებაც სჭირდებოდა. რაში და როგორ უნდა გაეწია დახმარება კალანდაძეს სააკაშვილისთვის, ვერ გეტყვით. ვერც იმის მტკიცებას დავიწყებთ, რომ მართლაც იყო ასეთი შეხვედრა. თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის და ნაციონალები თავად ამბობენ, ხელისუფლება უნდა დავიბრუნოთო.

როგორც ჩანს, კალანდაძეს ვიღაც ჭკვიანმა ურჩია, არ ჩაერიოს ამ თამაშებში. ის ისედაც ბევრ შარშია გახვეული. ამბობენ, რომ მან უკვე დაწერა პატაკი გადადგომის შესახებ. თუმცა პრეზიდენტი თანახმა არ არის. ამბობენ, რომ შტაბის უფროსი მაინც წავა.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეოცნებეები აქტიურად არჩევენ გაერთიანებული შტაბების ახალი უფროსის კანდიდატურას. სახელდება რამდენიმე კანდიდატურა.

თავიდან ამ პოსტზე ნიკა ჯანჯღავას კანდიდატურაც განიხილებოდა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდი გამოდგა. ვარაუდის დონეზე განიხილებოდა ლადო ჩაჩიბაიას კანდიდატურაც. ყველაზე მეტი შანსი, როგორც ამბობენ, ვახტანგ კაპანაძეს აქვს. მას გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტი ერთხელ უკვე ეკავა.

გაერთიანებული შტაბის უფროსის შეცვლის გარდა თავად შტაბშიც განხორციელდება ცვლილებები.

თავდაცვის მინისტრ ალასანიას თქმით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს.

– გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს, ვინაიდან ის არის ქვეყნის მთავარსარდალი. ჩვენ კონსულტაციები დავიწყეთ მას შემდეგ, რაც პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტს ნდობა გამოუცხადა. მალე ეს კონსულტაციები დასრულდება და გვეყოლება გაერთიანებული შტაბის ახალი ხელმძღვანელი. ჯერჯერობით კონსულტაციები მიმდინარეობს პრეზიდენტის წარმომადგენლებთან და მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. ეს კონსულტაციები უახლოეს დღეებში დასრულდება. ასევე, უახლოეს დღეებში გაირკვევა, შეიცვლება თუ არა გაერთიანებული შტაბის სახელწოდება და სტრუქტურა, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ირაკლი ალასანიამ.

რაც შეეხება მოადგილეებს, მისი მოადგილეები ლევან დოლიძე, ალექსანდრე ბურჭულაძე და ირაკლი გეგეჭკორი იქნებიან.

მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ლევან დოლიძემ დაიკავა. როგორც ალასანიამ აღნიშნა, ის დიდი ხანია მუშაობს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ბოლო პერიოდში ლევან დოლიძე ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის დირექტორი იყო.

ლევან დოლიძის ძირითადი მიმართულება იქნება თავდაცვის სამინისტროში რეფორმები, რომლებიც სამოქალაქო კონტროლის ამაღლებას გულისხმობს. ლევან დოლიძე აგრეთვე იქნება თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი.

ალექსანდრე ბურჭულაძემ, ალასანიას თქმით, 1 ოქტომბერს საქართველოში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მოისურვა სახელმწიფო სამსახურში მუშაობა.

– ის არის ძალიან კარგი ფინანსისტი. მეამაყება, რომ ის თავდაცვის სამინისტროში წამოვიდა სამუშაოდ. მისი ძირითადი მიმართულება იქნება საფინანსო დისციპლინის და კონტროლის დამყარება თავდაცვის სამინისტროში. ეს პრობლემა დღეს ამ სამინისტროში ნამდვილად დგას, – აღნიშნა ალასანიამ.

რაც შეეხება ირაკლი გეგეჭკორს, ალასანიას თქმით, ირაკლი გეგეჭკორი დიდი ხანია საჯარო სამსახურში მსახურობს. მას 2002-2003 წლებში პანკისის ტერიტორიაზე მიმდინარე ოპერაციებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

– მისი ძირითადი მიმართულება თავდაცვითი უსაფრთხოების საკითხები იქნება, – აღნიშნა ალასანიამ.

სხვა მოადგილეებს ალასანია უახლოეს დღეებში დაასახელებს. პირობას დებს, რომ თანამდებობაზე მხოლოდ კვალიფიციური კადრები დაინიშნებიან.

# გია ცაგარეიშვილი: „ახალი პარლამენტის აშენება 400 მილიონი დაჯდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დადგენილი: მაჟორიტარი ვალდებულია პერიოდულად ბიუროს ანგარიში ჩააბაროს, თუ რას აკეთებდა ის თავის ოლქში. მოიკითხეთ, ვინმეს თუ აქვს ჩაბარებული, მაგალითად, პეტრე ცისკარიშვილს – რას აკეთებდა ახმეტაში?! – განაცხადა ცაგარეიშვილმა „მაესტროს“ პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ ნაძალადევში, ბაღდათსა და სამტრედიაში არჩევნები რამდენიმე თვეში ჩატარდება.

– არ შეიძლება ოლქი უპატრონოდ დარჩეს. ჩვენ ვალდებული ვართ, ჩამოვწიოთ ვადა, ზემოხსენებულ ოლქებში ხელახალი არჩევნების ექვს თვეში ჩატარება გონივრული იქნებოდა, – განაცხადა ფაქტიურად უკვე დეპუტატმა.

ფაქტიურად დეპუტატს იმიტომ ვამბობთ, რომ ცაგარეიშვილი ოფიციალურად კანონმდებელი იქეთა კვირაში გახდება. ის ირაკლი ალასანიას ჩაანაცვლებს, რომელიც თავდაცვის მინისტრი გახდა. ამის გამო მას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდება. ამის შემდეგ გია ცაგარეიშვილი უკვე პარლამენტში იაქტიურებს.

ცაგარეიშვილი ამბობს, რომ პარლამენტის აპარატს ქუთაისში მუშაობა ძალიან უჭირს. პარლამენტის ქუთაისში გადატანა ქვეყანას ბევრ პრობლემას უქმნის.

– წლების განმავლობაში ფაქტობრივად მთელმა საქართველომ და ყველა სტრუქტურამ თბილისში მოიყარა თავი, რაც ქუთაისში პარლამენტის მუშაობას ართულებს. საკმაოდ რთულია მუშაობა ქუთაისში. მაგალითად, დავაპირე ექსპერტებთან, საზოგადოებასთან, დარგის სპეციალისტებთან ან მედიასთან შეხვედრა, როგორ უნდა განხორციელდეს ეს? ამიტომ, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ რეალობას. ამ რეალობის ხელოვნური შეცვლა მოიტანს უკუქმედებას, ეს კი არც თბილისს და არც ქუთაისს არ გამოადგება, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მისივე თქმით, პრეზიდენტმა პარლამენტი ქუთაისში შიშის გამო გადაიტანა. წინა მოწვევის პარლამენტში ის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის ქუთაისში გადატანას. მას რამდენიმე დეპუტატი უჭერდა მხარს. მაგრამ მაშინდელმა უმრავლესობამ თავისი გაიტანა და პარლამენტი სავარდო და სამაისო ქალაქში წაიღეს.

– სააკაშვილს შეეშინდა თბილისის, მიტინგების, მასობრივი მსვლელობების, ჟურნალისტების, რომლებიც ძალიან აქტიურები ხართ სწორედ აქ, დედაქალაქში. ქუთაისში მუშაობა მედიისთვისაც რთული იქნება, რადგან იგი დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, – აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მან ქუთაისის პარლამენტის ხარჯებზეც ისაუბრა. ამ ხარჯებს ბევრი უჩივის. დეპუტატების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება პარლამენტზე ამდენი ფული იხარჯებოდეს. ცაგარეიშვილიც ამ აზრზეა.

– მხოლოდ კომუნალურ გადასახადებში იქ ასი ათასობით ლარი იხარჯება. ვკითხულობ, გვინდა გვქონდეს საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც მხოლოდ კომუნალურ გადასახადებში ასი ათასობით ლარს იხდის? გვერდით მდებარე საცხოვრებელ კორპუსებში წლების მანძილზე წყალი 8-დან 10-საათამდე მოდის. იქვე მდებარე პარლამენტის შენობაში კი ადამიანები განცხრომაში, ფუფუნებაში მოღვაწეობენ, ეს ხომ პარადოქსია, თანაც საშინელი, რომელსაც შევეფეთეთ. პირველადი გამოთვლებით, აღნიშნული შენობის მშენებლობაზე 340 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო კვლევა-ძიების გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა მან 400 მლნ-ს გადააჭარბოს. გაჭირვებული ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის 70%-ს სილარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, პარლამენტის შენობის მშენებლობაში ასეთი თანხის დახარჯვა, გაუგონარი ამბავია, – აღნიშნავს დეპუტატი.

მან ისიც გაიხსენა, როგორ დაარბიეს ნაცმოძელებმა პარლამენტის ძველი შენობა თბილისში.

– როცა ჩვენ იქ გაგვისტუმრეს, ბარბაროსებივით შეესივნენ პარლამენტის ძველ შენობას, როგორც გოთებმა აიღეს რომი, დალეწეს და ყველაფერი მოსპეს. ეტყობა, მიხეილ სააკაშვილი გრძნობდა, რომ არჩევნებს აგებდა, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ის დარწმუნებულია, რომ პარლამენტი თბილისში გადმოვა. ამაში ეჭვი არც სხვა მეოცნებეებს ეპარებათ. ამბობენ, რომ თბილისში დაბრუნება ყველაზე მეტად ნაციონალებს სურთ.

# გია გვაზავა: „კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატია უნდა გამოვიყენოთ“

თეა მარხვაიძე

**ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავასთან**

*– ბატონო გია, საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი თვის თავზე როგორია თქვენი კომენტარი, რა პროცესებს უნდა ველოდოთ, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში.*

– პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო საქართველოს დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვება, რაც საკმაოდ კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა. მთავარია, რომ გაიმარჯვა ხალხის არჩევანმა. ჩვენ მსოფლიოს დავანახეთ, რომ საქართველოში ძალაუფლების გადაცემა მოხდა დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით და ეს არის თავისუფლებისმოყვარე ქართველების დემოკრატიული მონაპოვარი. რაც შეეხება ახალი ხელისუფლების პოზიციას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, ჯერნაადრევია ანალიზის გაკეთება. გარემოება მოითხოვს ამ პროცესის უფრო ღრმად და სრულად შესწავლას ახალი ხელისუფლების მხრიდან. ცხადია, მიღწეული რეფორმები არ უნდა ჩავარდეს, პირიქით, ზედნაშენი უნდა აშენდეს უფრო გამართული და ძლიერი. ადრე შემუშავებული სტრატეგიის იდეა – ჩართულობა აღიარების გარეშე, ალბათ, უცვლელი დარჩება და დაემატება ის პროგრამები, რაც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა წინასაარჩევნო კომპანიის დროს. ყოველივე ამის განხორციელებას გარკვეული პროცედურები სჭირდება. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის პრობლემასთან.

*– ბატონო გია, არის ასეთი მოსაზრებაც, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გასაღები ისევ მოსკოვშია. დასავლური სამყაროდანაც ხშირად მოდიოდა მესიჯები, რომ აუცილებელია ჩრდილოელ მეზობელთან – იმავე დასავლეთის მიერ ოკუპანტად აღიარებულ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. როგორ წარმოგიდგენიათ ოკუპანტ მეზობელთან ურთიერთობის აღდგენა?*

– საერთოდ, კონფლიქტის მოგვარება ხდება ორი გზით: ძალისმიერი ან მოლაპარაკებითი. ცხადია, ძალისმიერს გამოვრიცხავთ, ე.ი. რჩება დიალოგის გზა. მშვენივრად მესმის, ოკუპანტთან და მოძალადესთან ძნელია საუბარი, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვიწევს რუსეთთან ურთიერთობის იმ ფორმის მოძებნა, რომელიც ჩვენ ღირსებას არ შელახავს, თუმცა ეს სათქმელად ადვილია და განსახორციელებლად ძნელი, თანაც ჩვენს სიმართლეს არ დაკარგავს და რეალურ, დადებით შედეგს გამოიღებს. შევძლებთ თუ არა ამას, ეს უკვე დამოკიდებულია ჩვენს დიპლომატიურ ნაბიჯებზე და რა თქმა უნდა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერასა და თვით რუსეთზე. უხეშად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ვაჭრობა უნდა იყოს ძალიან პრაგმატული. სადაც საჭიროა და სადაც გადის წითელი ხაზი, უნდა ვთქვათ – არა; ხოლო იქ, სადაც შესაძლებელი იქნება, მოვნახოთ საერთო ენა რუსეთთან. გეთანხმებით, რომ ეს რთულია, ამიტომაც განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმაც, რომ აფხაზეთის პრობლემა ერთ და ორ წელში ვერ გადაწყდება.



*– ამას წინათ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საერთოდ რეგიონების უფლებამოსილების გაფართოებაზე ისაუბრა. როგორი სახით შეიძლება შეეხოს ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებს?*

– თქვენ, ალბათ, დეცენტრალიზაციას გულისხმობთ? წლების მანძილზე ცენტრსა და რეგიონებს შორის არსებული ურთიერთობა არ მიმაჩნდა სწორად. იგივე ალიზიანებდათ თავის დროზე აფხაზებსაც. რეგიონებს სჭირდება მეტი მმართველობითი და ეკონომიკური თავისუფლება. რაც შეეხება აფხაზეთის სტრუქტურებს, მჯერა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების გაზრდა აირეკლება ჩვენზეც. თუმცა საერთოდ აფხაზეთის მიმართ შეიძლებოდა უფრო მეტი ყოფილიყო. აფხაზეთის საკითხი უფრო პრობლემურია და, ვფიქრობ, ამ პრობლემაზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ დაიხვეწება. ჩვენ, ალბათ, შევთავაზებთ აფხაზებს იმაზე მეტ უფლებებს, რაც აჭარის ავტონომიას ექნება. აუცილებლად წამოიჭრება სამხედრო სამსახურის მოხდის საკითხი; რუსული ენის, როგორც ურთიერთობის საკითხი; პასპორტის, პოლიციის საკითხები. ეს არ არის მარტივი, მაგრამ ვფიქრობ, მაინც მოგვარებადია. მაღალი პოლიტიკური თავისუფლება სულაც არ არის საშიში, იმ შემთხვევაში, თუკი შენარჩუნებული იქნება მთავარი პრინციპი: უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთი არის და იქნება საქართველოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი და მას რეფერენდუმით გამოყოფის უფლება არ ექნება. რეფერენდუმი ჩატარდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თუკი რომელიმე რეგიონს გაუჩნდება ამის სურვილი.

*– ეს დაახლოებით კონფედერაციულ მოდელს წააგავს?*

– არა, ეს მხოლოდ ელემენტია კონფედერაციული, მაგრამ სწორედ ეს რეფერენდუმი აგვარებს გამოყოფასთან დაკავშირებულ იმ არასასიამოვნო მომენტს, რასაც ითვალისწინებს კონფედერაცია.

*– რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილი აფხაზებთან გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენაზე დამაჯერებლად საუბრობს. არის თუ არა ამის რეალური რესურსები და როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი?*

– ყველაზე იდეალური გზაა სახალხო დიპლომატიის აყვანა პოლიტიკურ დონეზე. მაგრამ რამდენად თავისუფალია დღეს აფხაზი თავის არჩევანში? მართალია, მის თავისუფლებას კრემლი წყვეტს, მაგრამ თუკი იქნება მათი შინაგანი ნება, თუნდაც ჯერ არგამჟღავნებული, ეს ჩვენ გაგვიადვილებს საერთო ჯამში საუბარსაც და შემდგომში ურთიერთობასაც. თუკი აფხაზებსა და კრემლს შორის აღმოცენდება უკმაყოფილების მარცვალი, ეს უნდა იქნეს გამოყენებული, რა თქმა უნდა, ამას ვამბობ კარგი გაგებით. რაც შეეხება რესურსებს, ეს ის თაობაა, რომელიც ჩვენთან ერთად იზრდებოდა, ცხოვრობდა და საქმიანობდა. ჩვენ კარგად ვიცნობთ მათ, ჭირშიც და ლხინშიც ერთმანეთს გვერდით ვედექით, მოყვრობა გვქონდა ერთმანეთში. უფროსი თაობა ხვდება, რა გასაჭირშიც არის დღეს აფხაზი მოსახლეობა. ახალ თაობას კი რუსული პროპაგანდის წყალობით მტრად წარმოუდგენია ქართველი ერი, ამიტომაცაა საჭირო სახალხო დიპლომატია, რომ ჩვენთან დაახლოების შედეგად მათ თვალი აეხილოთ. საჭიროა ის სამკურნალო დაწესებულებაც, რომლის აშენებაც იგეგმება ენგურთან. ცხადია, ამით ისარგებლებენ ენგურსგაღმა მაცხოვრებლებიც, რაც თავის მხრივ ქართველთა და აფხაზთა დაახლოებას შეუწყობს ხელს. სახალხო დიპლომატიის ამოქმედების შემდეგ შეიძლება ფართო ავტონომიაზე შეთანხმება. რუსული გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ჩაკეტილი წრე გვაქვს... თუ აფხაზები შეძლებენ ხმის მიწვდენას მსოფლიოს ყურამდე, რომ რუსულმა ჩექმამ ისინი მძიმე წნეხის ქვეშ მოიყოლა, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად უნდა დავეხმაროთ ამ ჩექმის მოშორებაში. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მივესალმები აფხაზებსა და ქართველებს შორის უშუალო კონტაქტებისა და დიალოგის ინიციატივას, რომლისთვისაც მობილიზებული იქნება ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის ლეგიტიმური სტრუქტურების პოტენციალიც, დევნილი საზოგადოების გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაციონალები ციხეში ბუნტს გეგმავენ!

თამარ ნინიძე

**ლალი მოროშკინა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაცმოძრაობა ციხის შიგნიდან გატეხვაზე მუშაობს და რევანშისთვის ემზადება. პატიმრების წამებაში ექვმიტანილი თანამშრომლები დავით ხუჭუა და გაგა მკურნალიძე ადასტურებენ იმას, რომ ყოფილი ხელისუფლება ციხიდან აპირებს ამ ხელისუფლების ატრიალებას. მოროშკინა მოითხოვს, სასწრაფოდ შეიქმნას ანტიკრიზისული კომისია, რომელიც გაარკვევს, პატიმრების თვითდაზიანება და პროტესტი გარედან არის მართული თუ არა.**

***– თქვენი პირველი შესვლის შემდეგ ციხეებში რა შეიცვალა?***

– მე პირველად შევედი, სანამ მონიტორინგის ჯგუფი ჩამოყალიბდებოდა და მომეცა ამის საშუალება მხოლოდ იმიტომ, რომ კრიზისულ დღეებში როცა დაიწყო საპროტესტო ტალღა, იქ მომიწია ყოფნა და პირდაპირ ძალით შემაგდეს ციხეში, რომ დამეწყნარებინა პატიმრები, ამეხსნა მათთვის, რომ ეს ქმედება, ბუნტს ვგულისხმობ, არანაირად არ წაადგებოდათ მათ. სამართლიანად აღელვებული ადამიანების ტალღის შეჩერება რომ მომეხერხებინა, მარტოც შევდიოდი სხვადასხვა დაწესებულებაში. შემდეგ გიორგი ტუღუშს ჰქონდა გამოუვალი მდგომარეობა და იძულებული იყო, შეექმნა მონიტორინგის ჯგუფი, ასევე იძულებით მომახვედრა ამ ჯგუფში, მას ჩემთან თანამშრომლობის დიდი სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა იმიტომ, რომ მე პირველი დღიდან ვებრძვი მას. უბრალოდ ვერ გადაახტებოდა ყველა იმ ქმედებას, რაც გავაკეთე. იმ ჯგუფში ისეთი ადამიანები ვნახე, რომელთაც არანაირი აქტიურობა არ ჰქონიათ არასოდეს ციხეებთან და სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან, უფლებადამცველებს ეკუთვნოდა იმ ჯგუფში შესვლა და მანამდეც შედიოდნენ. შემდეგ შემთხვევითი ხალხი აღარ მინახავს იმ დაწესებულებებში. მე შევდიოდი ისეთ პატიმრებთანაც, ვისაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი, ყოფილ თანამშრომლებთან ე.წ. კანონიერ ქურდებთან, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პოლიტპატიმრები არიან ყურადღების მისაქცევი და ასევე შევდიოდი ქალთა ციხეში, ვერ ვხვდები, რა გახდა ნორა კვიციანის და ნანა თხელიძის ციხიდან განთავისუფლება, თუნდაც ახალი მთავრობის პერიოდში შეიძლებოდა ამ ადამიანების მიმართ განსაკუთრებული აქტი ყოფილიყო შემუშავებული, პარლამენტში მათ განთავისუფლებას მხარდაჭერა ნამდვილად ექნებოდა. სამწუხაროდ, ჯერ არ გაუთავისუფლებიათ. სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ მე აბსოლუტურად ვეთანხმები გელა ნიკოლეიშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამნისტია უნდა შეეხოს ყველა მუხლს იმიტომ, რომ იქ ბევრი შეთითხნილი საქმეა, როცა ადამიანს ბრალს ვერ მიუსადაგებდნენ მარტივი მუხლით, იყენებდნენ ისეთ მძიმე მუხლს, როგორიც არის ყაჩაღობა, მკვლელობა. ბევრმა ადამიანმა, რომელთაც ეს მუხლები აქვთ მიყენებული, დღემდე არ იცის, რატომ ზის ციხეში. იმაშიც ვეთანხმები უფლებადამცველებს და ადვოკატებს, რომ თუ ადამიანს ეკუთვნოდა ათი წელი და ხუთი აქვს მოხდილი, მან იმ ხუთ წელიწადში ისეთი კოშმარი გაიარა, ისეთი მორალური და ფიზიკური ტრავმების ქვეშ იყო, რომ ის დროულად უნდა გამოუშვან ციხიდან თუნდაც იმიტომ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნდეს. ყველა სიკვდილის პირას არის მისული. უამრავი პატიმარი დახმარების გარეშე ვერ დადის.

***– ბევრი პატიმარი ამბობს, რომ ხელ-ფეხს უმტვრევდნენ.***

– ძვლებში ტეხავდნენ, პირველად იქ მივხვდი, რას ნიშნავს ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენ გვყავს სახსრებში, ძვლებსა და წელში გატეხილი პატიმრები. ვერ ნახავთ ჯანმრთელ პატიმარს, ეს არის ჰეპატიტი, შიდსი, ძალით შეტანილი ბაცილა, იმისთვის, რომ ჯანსაღი ნაწილის გენოციდი მომხდარიყო. მე ვამტკიცებ იმას, რომ ანალოგიური გენოციდი იყო ქალთა ციხეში, ოღონდ ისინი მიბმული იყვნენ სანდრა რულოვსის კლინიკა ნიუჰოსპიტალზე, როცა პატიმარ ქალბატონს ქალური განხრით ოდნავ რაიმე წამოსტკივდებოდა, ყველა ქალურ ორგანოს აჭრიდნენ. ეს ცალკე დანაშაულია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული. ამიტომ პატიმარი ნანა თხელიძე დღემდე არ თანხმდება ოპერაციას, რადგან იცის, რომ ანალოგიური შედეგით დასრულდება ეს ოპერაციაც. პატარა ბიჭებზე გენოციდი იყო განხორციელებული, პირდაპირ სათესლე ჯირკვლებზე ურტყამდნენ, მე მოვინახულე ორი დღის წინ გაგა მკურნალიძე და დავით ხუჭუა, არანაირი სინანული არ აწუხებთ ამის გამო, ისინი ამტკიცებენ, რომ სცემდნენ ბავშვებს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ბავშვები არაფერ შუაში არ იყვნენ, ინსპირირებული ბუნტი იყო, ეს იყო გაუპატიურების წინააღმდეგ ხმის ამაღლება. ეს ხუჭუა და მკურნალიძე ელოდებიან თავისი პატრონებისგან ხსნას და შველას, მე კარგად ვიცი პატიმრების ფსიქოლოგია იმიტომ, რომ ამ თემაზე ვმუშაობ 2001 წლიდან, ყველანაირი პატიმარი მინახავს, ისეთებიც, ვისაც გამოსვლის არანაირი პერსპექტივა არა აქვთ, მაგრამ ასეთი უტიფარი სახეების მნახველი არ ვარ, რომლებსაც არანაირი განცდა არა აქვთ ჩადენილი დანაშაულის.

***– შვილები ჰყავთ, ვინმემ დაუსვა მათ შეკითხვა, რას იგრძნობდნენ, მათი შვილების მიმართ ვინმეს მსგავსი სისასტიკე რომ გამოეყენებინა?***

– მე მივიჩნიე, რომ ასეთი შეკითხვის დასმა მათთვის აბსოლუტურად უადგილოა, ამ შეკითხვაზე პასუხი მივიღე იმით, რომ მათთან ვნახე ხატები და სანთლები, ვერაფრით დავუკავშირე ერთმანეთს რელიგია და ბავშვის ცემა. ყელყელაობენ იმ ფაქტით, რომ დიახაც სცემეს პატიმარ ახალკაცს, რომელიც თითქოს სათავეში ედგა ბუნტს და აქ მთავარი შეკითხვა მათთან მქონდა, ემზადებიან თუ არა რევანშისთვის და მივიღე დადებითი პასუხი, დიახ, ემზადებიან რევანშისთვის, დიახ, ის, რაც ხდება ციხეებში, არის რევანშისთვის მზადება, ამოკერილი პირები, გადაგლეჯილი ვენები, დუბელის ლურსმნებით არიან მიჭედებული პატიმრები, სად ნახეს დუბელის ლურსმანი პატიმრებმა ციხეში არ ვიცი, მე ვხედავ ამაში საბოტაჟს. ნაცმოძრაობა პირდაპირ იძლევა განკარგულებას, ეს არის კრიზისული პროგრამა, არის მუშაობა პატიმრებზე, რომლებთანაც დღემდე აქვთ კავშირი ადვოკატების მეშვეობით, მოდით, მოაწყვეთ რაღაცები, გადაისერეთ ვენები, რაც უფრო მეტი მოშიმშილე პატიმარი იქნება, კრიზისი გაძლიერდება და როგორც ციხემ ნაცმოძრაობა აატრიალა, ისე აატრიალებს ახალ ხელისუფლებასაც. მე გავშიფრე ეს ძალიან მარტივი სქემაა, საააკაშვილი ყოველდღე უშვებს ციხიდან მძიმე კრიმინალებს, რომლებსაც ასრულებინებს იმ დავალებას, რაც მას სურს, იმიტომაც



**ლალი მოროშკინა: „ჩვენ გვყავს სახსრებში, ძვლებსა და წელში გადატეხილი პატიმრები“**

გახშირდა ძარცვა, მანქანების გატეხვა, თავდასხმა ბანკებზე, გახშირებულია შიმშილობის ფაქტები ციხეებში და მიმაჩნია, რომ სოზარ სუბარის სამინისტროსთან სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ანტიკრიზისული ჯგუფი, რომელიც პირადად იმუშავებს ადეკვატურობას აცდენილ პატიმრებთან, მაგრამ აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ იმდენად მძიმეა ვითარება პატიმრების, რომ აფექტში შეიძლება მართლაც დაუშავონ რაიმე საკუთარ თავს. ძნელი იქნება გარკვევა ეს იყო აფექტში მომხდარი თვითდაზიანებები თუ დავალება აქვთ მიღებული. ლტოლვილებთან დაკავშირებით მიღებულია ასეთივე დირექტივები, მათ ჰყავთ ათასკაციანი ბრიგადები, რომლებიც იჭრებიან სხვადასხვა დაწესებულებებში და ისინი გეგმის მიხედვით მუშაობენ. იმიტომ აქვს მკურნალიძეს მოლოდინის რეჟიმი, რომ ახლა აირევა ციხე, ამბობს ისევ ჩვენი დასალაგებელი იქნება ციხეში მდგომარეობაო. მინდა დავაფიქსირო კანონიერი ქურდების პოზიცია, რომლებიც აბსოლუტურად ემიჯნებიან იმ კრიმინალურ ვითარებას, რომელიც ახლა მძვინვარებს ქალაქში და ამბობენ, რომ ესეც არის ნაცმოძრაობის დაკვეთით შესრულებული საქმე და არავითარ შემთხვევაში ისინი ამაში არ ერევიან და მენიშნა, რომ პატრიარქი პირველად ამ პატიმრებთან მივიდა, ფაქტობრივად ჩანდა მისი ქმედებიდან, რომ აქედან არ ირევა დღეს სიტუაცია, არამედ სიტუაცია ირევა ნაცმოძრაობის აქტიური ფლანგიდან, რომელიც მუშაობს კრიზისულ ჯგუფთან, რომელიც ისრაელში არის დაკვეთილი.

***– რა განწყობა აქვთ, რას ამბობენ ის პატიმრები, რომლებსაც უვადო პატიმრობა აქვთ მისჯილი?***

– მათ აქვთ იმედი, რომ მათი საქმეები გადაიხედება, მხოლოდ მეშვიდეში არა, არამედ სამუდამო, ვისაც აქვთ მეექვსე საპყრობილეშიც არიან, თითქოს დასაკარგი არაფერი აქვთ, მიუხედავად ამისა, მათგანაც არ წამოსულა წინააღმდეგობა, თვითდაზიანების მცდელობა. მე არ მომწონს ის ტენდენცია, რაც იქ შევამჩნიე, ზოგიერთი პატიმრის მიერ თვითდაზიანების მცდელობა, აფრასიძეებთან ერთად სხვებიც შიმშილობდნენ, შევედი მათთან და ვესაუბრე, აფრასიძეებმა, რომლებმაც პირადი ტრაგედია გადაიტანეს და მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს, მაშინვე შეწყვიტეს შიმშილობას, როგორც კი ვუთხარი, რომ ამან შეიძლება საერთო საქმეს ხელი შეუშალოს. გოჩა აფრასიძე მთლიანად კარგავს მხედველობას, უმძიმესი მდგომარეობა აქვს შმაგი აფრასიძესაც.

***– იმ პატიმრების ვადის განახევრების ან განთავისუფლების საკითხი თუ დადგება, ვისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა?***

– მე მოვინახულე ის პატიმრები, რომლებიც უკვე ღუდუშაურში და ინფექციურში არიან გადაყვანილი, ღმერთმა ქნას, რომ არ დადგეს ფატალური შედეგი, სანამ ფატალური შედეგი არ დგება, მანამდე არ უშვებენ პატიმარს. დღეს ქვეყანას არ ექნება იმის ფუფუნება, რომ ამდენ ადამიანს უმკურნალოს იმიტომ, რომ ეს არის ჩემი და ადვოკატების პირადი დაკვირვება, ყველას სჭირდება მძიმე მკურნალობა. ცეროზზე, ტუბერკულოზზე და ძვლების სიმსივნეზე არის საუბარი ამდენი მტვრევისგან. ისინი, სამწუხაროდ, ველარ იქნებიან სრულფასოვნად ჯანმრთელი ადამიანები, ისინი უნდა გადასცენ ოჯახებს. პატიმრებს არ მიეწოდებათ წამლები, პირველი, რაზეც უნდა იზრუნოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრომ, რომ ახალი ექიმები შეიყვანოს სისტემაში იმიტომ, რომ ძველი ექიმები ისეთივე ჯალათები იყვნენ, როგორც ციხის სხვა თანამშრომლები. სწორედ ისინი აპრავებდნენ ყველა იმ საშინელებას, რაც ხდებოდა ციხეში. ვიცი შემთხვევები, პატიმრები, რომლებიც წელში გადატეხეს და წლებია ინვალიდის ეტლში სხედან, როცა გადაჰყავდათ ეტლში, მთავარი ექიმები ამბობდნენ, ლოგინიდან გადმოვარდა და ოდნავ ტვინის შერყევა აქვსო. ისეთი საზარელი ფაქტები ვიცი, არ მინდა მკითხველი დავამძიმო, მე კატეგორიულად მოვითხოვ ანტიკრიზისული ჯგუფის შექმნას, რომელიც იმუშავებს ამ ციხეებთან მიმართებაში იმიტომ, რომ უნდა გაემიჯნოს, ვის აქვს უკიდურესი ფორმა ჯანმრთელობის დარღვევის და ვის არა, ბევრი პატიმარი ფსიქიკურად არის შეშლილი, პატიმრების უმრავლესობას აყურებინეს გაუპატიურების ფაქტები, ყველას ფსიქიკა ხომ ერთნაირი არ არის. ამ ანტიკირიზისულმა კომისიამ უნდა იმუშაოს იმაზე, ვინ არის მართლა მძიმედ ავად და ვინ ასრულებს დაკვეთას ამის გამოვლენაზე. ლტოლვილებზეც ვიცი, ვისაც ნამდვილად უჭირს, სირცხვილით იწვის, რომ მათი სახელით სხვა ჯგუფები იკავებენ უკანონოდ შენობებს.

***– თუ არ მეშლება, ამ ანტიკრიზისულ კომისიაში პირველ რიგში ფსიქოლოგები უნდა მოხვდნენ.***

– არა, პირველ რიგში ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ უფლებადამცველები, ადვოკატები, დღეს იქ რომ ახალი ადამიანი შევიდეს, სანამ ის ვითარებაში გაერკვევა, დიდი დრო გავა. არც ერთი წუთი არ უნდა დაიკარგოს. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ბავშვების რეაბილიტაცია და ციხეებიდან გაშვება. მათ ისეთი მძიმე ფონი აქვთ, რომ არ ვიცი ოდესმე მათ ფსიქიკას თუ რამე ეშველება. ამ კომისიამ უნდა დაადგინოს არა მარტო პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ ისიც, ვისგან არიან მართულები მათი ნაწილი მაინც. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ არის ციხის არევის მცდელობა.

***– ამიტომ არიან მშვიდად დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ყოფილი თანამშრომლები, ვინც ადამიანებს აწამებდნენ?***

– დიახ, ძალიან მშვიდად არიან. ძალიან კომფორტულად არიან, თვალში გეცემათ საკნის გამომშრალი ჰაერი, სითბო, კარგი პარკეტი, შეღებილი კედლები ანუ ბევრად უფრო კარგ პირობებში არიან, თანაც არანაირი დანაშაულის შეგრძნება არა აქვთ. ისინი ამბობენ, არა ვართ ფრთიანი ანგელოზები, მაგრამ ასე იყო საჭირო, პირდაპირ მითხრეს, სოზარს ციხე გაექცევა და ისევ ჩვენ მოვალთო. პირდაპირ მიმანიშნეს, როგორც მოხდა ციხიდან სიტუაციის არევა, ახლაც მოხდება კონტრარევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, ექვს თვეში პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი. ყველა ქართველს უნდა გვახსოვდეს, თუ გაგრძელდა ციხის არევა, ლტოლვილების შეჭრა შენობებში, დამძიმდა კრიმინალური ვითარება, ორ-სამ თვეში მომწიფდება ვითარება, ჩვეულებრივ ადამიანებს, ვისაც მაგალითად მანქანას გაუძარცვავენ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, იტყვიან, მართლა რა სიწყნარე ყოფილაო და იქ დამთავრდება მართლა ჩვენი ოცნება. არ მინდა ჩვენი საზოგადოება დიდხანს იყოს ეიფორიაში. ზუსტად ქართველებს ერგებათ ფრაზა: ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო. დღეს ის მშვიდობაა, რომელიც ყველაზე საშიშია. მე პირადად ვარ რევანშის მოლოდინში და უფრო მალე, ვიდრე ექვს თვეში. ვხედავ ამის მზაობას ნაციონალების მხრიდან და მოდუნებულ პოზიციას ხელისუფლების მხრიდან. პირველ რიგში პოლიტპატიმრების და ასევე ნაწამები პატიმრების გამოშვება უნდა დაიწყოს. იტყვიან მავანნი, აი, გამოუშვებენ პატიმრებს და დაიწყება ისევ ძარცვა, ყაჩაღობა, მე მინდა გითხრათ, რომ მათგან არანაირი ქუჩაში გასვლა და ძარცვა არ დაიწყება, იმდენად მძიმე ავადმყოფები არიან.

***– პატიმარ ქალებთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?***

– ქალი პატიმრები გაწირეს ისევე როგორც მამაკაცები. ეს მთავრობა დაუფარავად ამბობდა, რომ მოდიოდა ოცდაათი წლით, შეკრებითობის პრინციპი შემოიღეს, უნდოდათ სალი ნაწილისგან გაეწმინდათ საქართველო და დაგვიტოვეს საშუალო სქესის ადამიანები და ეს მიზანმიმართულად ხდებოდა. იქ ურტყამდნენ პატარა ბიჭებს, სადაც მთავრდება მათი მამაკაცური ცხოვრება. ქალებს უკეთებდნენ იგივეს, ოღონდ სხვა გზით. მე ნამდვილად ვერ ვიტყვი ამას ქალთა ციხის ადმინისტრაციაზე, თუ ვინმემ გადაარჩინა ქალები, ეს არის მედიკო ალანია, ის ძალიან დიდი ხანია ამ სფეროში მუშაობს, ქალთა ციხის დირექტორია, რაც მის შესაძლებლობაში არის, იმ კომფორტს უქმნიდა ქალებს. მისგან არ იყო სადიზმი, უხეშობა. მაგრამ ქალები იყვნენ ბეტონის სარკოფაგეებში, ქალი ორი კვირა რომ დააყენო ბეტონზე, დამთავრდა, ის ქალურ ფუნქციას გარკავს. ყველა ქალი ავად არის, ტუბერკულოზი გავრცელდა ეპიდემიის სახით. ქალბატონ მედიკო ალანიას ორას ორმოცდაათი ქალი ჰყავდა მომზადებული, პირადად თავდებში უდგებოდა, რომ ისინი გასულიყვნენ, ბუღალტრები, ბიზნესმენი ქალები.

***– სახალხო დამცველის პოსტზე ვის უჭერთ მხარს და რატომ?***

– მე ღრმა პატივისცემას გამოვხატავ გელა ნიკოლეიშვილის და ლია მუხაშავრიას მიმართ, ორივე მიყვარს და ორივე საოცარი მეომარია, მაგრამ არ შეიძლება დიმიტრიზე არ ვთქვა, დიმიტრი ჩემთან ყველაზე ახლოსაა პრინციპებით. ასეთი სუფთა ადამიანი, თანაც შვიდი შვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუა ამ ასაკში, მე არ მინახავს. ოთხი-ხუთი ათასი პატიმარი, რომლებიც ერთად მოვინახულეთ, ყველას საქმეები იცოდა, რა მუხლით არიან გასამართლებული, მათი ოჯახის წევრებს იცნობს. როგორი რუტინული სამუშაო უნდა გასწიო ადამიანმა, რომ ეს ყველაფერი ერთ თავში ჩაეტიოს. ჩვენ პირველად ბავშვებთან შევედით და ვერ აღვწერ, რა სითბოს აფრქვევს ეს ადამიანი. თუ ვინმე უნდა ლაპარაკობდეს ქსენოფობიაზე, პირველი უნდა ვიყო მე, ის რეჟიმი რუსების წინააღმდეგ გამოდიოდა. ეთნიკური უმცირესობის დამცველი ორგანიზაცია მაქვს და არასოდეს მსმენია დიმიტრი ლორთქიფანიძისგან არანაირი ქსენოფობიური განცხადება. როცა ჩემი შვილის სკოლის წინ ორი მამაკაცის აქტი უნდა ჩატარდეს და ამის წინააღმდეგი თუ არის ვინმე, მე ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ. გურჩიანმა საოცრება თქვა, სექტემბერში გავიგეთ ციხის ამბებზეო, ჩვენ კი ცხრა წელია ამაზე ვსაუბრობთ, ეს ქალბატონი არ ცნობს პოლიტპატიმრებს ქვეყანაში.

***– თუ პარლამენტი დიმიტრი ლორთქიფანიძეს აირჩევს სახალხო დამცველად და თქვენ მის მოადგილედ დაინიშნებით, პირველი რიგის ქმედება, რასაც თქვენ გააკეთებთ, რა იქნება?***

– პირველი რიგის ქმედება იქნება არასრულწლოვანების საქმეების გადახედვა და მათი სასწრაფოდ გამოშვება. იმ პატიმარი ქალების გამოშვება, რომლებიც საშიში არ არიან საზოგადოებისთვის. ოთხი პატიმარი ქალია, რომლებსაც უვადო პატიმრობა აქვთ მისჯილი და უნდა გადაიხედოს მათი საქმეები. პოლიტპატიმრების განთავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია. მე და კოტე ინაშვილს სარჩელი გვაქვს შეტანილი სასამართლოში, სად არის მერვე საპყრობილის არქივი. ხუჭუას ეს შეკითხვაც დავუსვი, იყო თუ არა მის დროს ეს არქივი, როცა ის აჰყავდათ პატიმრობაში. მან მითხრა, ამ არქივისთვის ხელი არ მაქვს მოკიდებულიო, მაშინ სად წავიდა ეს არქივი? ის ადებს ხელს ტუღუშს. არის არქივი, რომელიც რამდენიმე საათი ინახება და მერე ნადგურდება და არის არქივი, რომელიც მუდმივად რჩება. ტუღუშმა თქვა, მე სერვერიც არ დამხვდაო. თუ მას ეს ვითარება დახვდა, პირველად სწორედ ამაზე უნდა განეცხადებინა. ის იყო ცუდი სახალხო დამცველი და შეიძლება იყოს კრიმინალი მინისტრი. მერვე საპყრობილეში გამოკეტილი ჰყავთ ერთი ბიზნესმენი, რომელზეც პირადად ვიცი, რომ გაექცათ მაშინ, როცა აპირებდნენ მის გაუპატიურებას. ჩვენ ვიქნებით არანაკლები ტრაგედიის მოწმე, ვიდრე ფაშიზმი იყო. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც არიან დატყვევებული ქართველები. მათ განთავისუფლებაზეც უნდა იყოს მუშაობა.

# დევნილებმა უნარშეზღუდულთა შენობებს შეუტიეს

## ისინი ინვალიდთა უფლებების დამრღვევებად იქცნენ

მერი ნამორაძე

**დევნილთა თუ სოციალურად დაუცველთა შეჭრა ამა თუ იმ დაწესებულების ამორტიზებულ, საცხოვრებლად უვარგის შენობებში მასობრივ და არაჯანსაღ სახეს იღებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დარღვევაზე გადავიდნენ და მათ სახელობო სახელოსნოებში იჭრებიან. გუშინ ამ თემას „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს უნარშეზღუდულთა უფლებების დაცვაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.**

ასოციაცია დაფუძნდა 1997 წელს ინვალიდი ბავშვების მშობლების მიერ. ასოციაციის დაარსების დღიდან ორგანიზაციამ სხვადასხვა საერთაშორისო დონორისა თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ინვალიდობის მქონე მოზარდთა დასახმარებლად. მიუხედავად არასამთავრობო სექტორის დიდი მცდელობისა, დღემდე დიდ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელობო განათლება და დასაქმება. ამ ადამიანებს განსაკუთრებული პრობლემა სკოლის დამთავრების შემდეგ ექმნებათ. ისინი აღარ არიან საჭირო აღარც სკოლისთვის, აღარც საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სახელობო განათლება დამატებით სახელმწიფო რესურსს მოითხოვს. არასამთავრობო სექტორი უცხოელ დონორთა მოძიებით სახელმწიფოს გარკვეულწილად ეხმარებოდა კიდეც ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში, მაგრამ როგორღა დაეხმარება, როცა ინვალიდი ბავშვებისათვის გამოყოფილ ფართს სხვები უკანონოდ ითვისებენ?

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა, მაია ასაკაშვილმა აღნიშნა, მათი ორგანიზაცია განთავსებულია ნაძალადევის რაიონში, თემქაზე, ყოფილ 205-ე საჯარო სკოლაში, რომლის დირექტორი ადრე თავად ქალბატონი მაია იყო. ოპტიმიზაციის განხორციელების შემდეგ ამოქმედდა საკვირაო ცენტრი ინვალიდობის მქონე მოზარდებისათვის, სადაც ეუფლებიან სხვადასხვა ხელსაქმეს, მუშაობენ თექაზე, გობელენზე, აკეთებენ სხვადასხვა აქსესუარებს, თოჯინებს, მონაწილეობენ გამოფენებსა და ღონისძიებებში. ამჟამად ორგანიზაციამ დაფინანსება მიიღო ამერიკის საელჩოდან ინვალიდობის მქონე პირთა კომპიუტერული ცენტრისა და მინი-სტამბის ასამოქმედებლად, დონორმა შეიძინა ძვირადღირებული ტექნიკა, სადაც ინვალიდობის მქონე პირებს კომპიუტერზე მუშაობა და პოლიგრაფიული საქმიანობა უნდა შეესწავლათ, დასაქმებულიყვნენ, რათა თავიანთი ადგილი ეპოვათ საზოგადოებაში. დონორთან ხელშეკრულება გაფორმებულია, მაგრამ პროექტის დაწყება ვერ ხერხდება შენობაში დევნილთა შეჭრის გამო.

დევნილთა შეჭრა სკოლა-ინტერნატის შენობაში 26 ოქტომბერს მოხდა, რამაც ჩაშალა სასწავლო პროცესი, დაარღვია ინვალიდთა უფლებები და შექმნა ფორსმაჟორული სიტუაცია.

— ჩვენ ვაცნობიერებთ დევნილთა პრობლემას და მათ შეჭირვებულ მდგომარეობას, მაგრამ არანაკლებ მტკივნეული და პრიორიტეტულია ინვალიდთა პრობლემაც. რა დააშავეს ამ ბავშვებმა? არ ვიცით, ვინ არიან ეს ადამიანები, რა ძალა მართავთ მათ. როგორ შეიძლება ქუჩაში გამოყარო ინვალიდები? ეს არ გაუკეთებიათ და არ უკადრებიათ 2008 წელს ლიახვის ხეობიდან ჩამოსულ დევნილებს. მოხდა ინციდენტიც, ისმოდა შეურაცხმყოფელი სიტყვები: გვეკუთვნის შენობა, რადგან სახელმწიფო ბალანსზეაო, მრავალსულიანები ვართ და გაფართოება გვჭირდებაო. გვეუბნებიან, თქვენ რა გიჭირთ, სახლები მაინც გაქვთო. როგორ შეიძლება ეს ინატრო? ყველაფერს დავთმობდი, სახლ-კარსაც, სიცოცხლესაც, ყველაფერს დავუთმობდი, თუ ვინმე ჩემს შვილს ჯანმრთელობას დაუბრუნებდა. ჩვენი თხოვნაა, საზოგადოებამ ხმა აიმაღლოს ინვალიდთა დისკრიმინციის წინააღმდეგ, — აღნიშნა მაია ასაკაშვილმა.

ასოციაციის წევრები თხოვნით მიმართავენ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დროულად იქნეს შესწავლილი 205-ე სკოლაში შექმნილი ვითარება და დროულად დაუბრუნონ შენობა ინვალიდ ბავშვებს:

—ჩვენი თხოვნაა, ხელი არ შეუშალონ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს, წლების განმავლობაში გაწეულ რუდუნებით აღსავსე შრომას, რაც ჩვენ, მშობლებმა, ინვალიდობის მქონე პირებმა და დარგის პროფესიონალებმა გავწიეთ ამ შენობის მოვლა-პატრონობასა და შენარჩუნებისათვის. ჩვენი თხოვნაა, დევნილთა სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახერხოს დევნილებისთვის სხვა ალტერნატიული ფართის შეთავაზება საცხოვრებლად. ვინაიდან ეს შენობა ინვალიდობის მქონე პირებს ეკუთვნოდა, გთხოვთ, ისევ ამ ადამიანებს დაუბრუნონ, რათა არ იქცნენ საზოგადოების მიერ დევნილებად იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარების ფონზე. მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სკოლა-პანსიონის შენობის ჩვენს ორგანიზაციაზე უზურფრუქტით გადაცემის საკითხის დაჩქარება, რომელიც ჯერ კიდევ წინა მთავრობაში იდგა დღის წესრიგში და უახლოეს პერიოდში პრემიერ-მინისტრთან არსებული ინვალიდთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ უნდა გადაწყდეს, — განაცხადა ასაკაშვილმა.

როგორც აღინიშნა, ინვალიდ ბავშვებთან მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება მშობლებს გააჩნიათ. მათ შეუძლიათ, გვერდში დაუდგნენ მთავრობას, პრობლემების გადაჭრაში., მოიზიდონ სახსრები სხვადასხვა დონორთა დახმარებით სოციალური რეაბილიტაციის მრავალპროფილიანი სახელობო ინკლუზიური ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად და სახელოსნოების მოსაწყობად.

არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა, გ. ბიბილეიშვილმა მიმართა შენობაში შეჭრილ დევნილებს, თუ რა შეიცვალა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისეთი, რომ კანონმორჩილი დევნილები უცებ მოძალადეებად იქცნენ. მისი თქმით, საზოგადოებამ ხმა უნდა აიმაღლოს საბოტაჟური ქმედებების წინააღმდეგ და ხელი შეუშალოს დესტრუქციული ტენდენციების დამკვიდრებას. ხელისუფლებამ სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს და არ დაუშვას ასეთი ფაქტები.

როგორც აღმოჩნდა, დევნილები გუშინ შეიჭრნენ ჩიქობავას ქუჩაზე მდებარე ინვალიდთა დღის ცენტრში, სადაც განთავსებულია კავშირი „მშობელთა ხიდი". ჩვენ კავშირის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეონა ყაჭეიშვილს ვესაუბრეთ:

**თეონა ყაჭეიშვილი:**

— მოვიპოვეთ იაპონიის გრანტი, ჰოლანდიის გრანტი, შენობა გავაკეთეთ და ვიწყებთ სოციალური საწარმოს მოწყობას. შეტევა იყო ჩვენს შენობაზე, დაცვა გავაძლიერეთ, საკუთარი ხელფასით ავიყვანე დაცვა, პოლიცია ჩავაყენეთ საქმის კურსში. მიუხედავად ამისა, მეორე სართულს კიბე მიადგეს, ბარბაროსულად ნაჯახებით გატეხეს ფანჯრები და ასე შეიპარნენ.

*— საიდან იცოდნენ თავისუფალი ფართის შესახებ?*

— არ იძახიან ამას. ამბობენ, უბნელებმა გვითხრეს, რომ იყო საჯარო სკოლის შენობაო. ორი კორპუსია, ერთი არის რეაბილიტირებული, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და მეორეა ავარიული, სადაც არაფრით არ შეიძლება შესვლა. მეც კი ვერ შევდივარ. ამ ორ კორპუსს საერთო აქვს დენი, წყალი, სველი წერტილები. ეს ყველა ხარჯი წამოვა ჩვენზე. გვპირდებიან, რომ რეაბილიტირებულ შენობაში, სადაც დღის ცენტრია, არ შემოვლენ. მაგრამ გარანტია არ მაქვს, რომ იქაც არ შემოვლენ.

*— რამდენი ოჯახი შემოვიდა?*

— 15 ოჯახია.

*— პოლიცია თუ ჩააყენეთ საქმის კურსში?*

— პოლიცია იყო, მაგრამ ვერ ერევა ამ საქმეში. პროკურატურის დონეზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრასო, ასე გვითხრეს.

# დავით დარახველიძე: „აუცილებლად გამოვავლენთ თაღლით დევნილებს"

ნათია ხურცილავა




გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დაწესებულებაში შეჭრილი მოქალაქეების პრობლემების გადაჭრის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს კანცელარიაში გამართული მთავრობის სხდომის შემდეგ ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა.

— სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იმ ნაწილთან მიმართებაში, რომლებიც დღეის მდგომარეობით სხვადასხვა დაწესებულებაში არიან შეჭრილი, შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმა და დღეს ის დავამტკიცეთ. უკვე დაწყებულია მისი განხორციელება, — აღნიშნა სერგიენკომ.

მინისტრის განმარტებით, გეგმა სხვადასხვა დაწესებულებაში შეჭრილი ყველა სოციალურად დაუცველი ადამიანის აღწერას და მათ მიერ სპეციალური კითხვარის შევსებას ითვალისწინებს.

— გუშინ ღამის მდგომარეობით, სხვადასხვა ობიექტზე შეჭრილი ადამიანების რაოდენობა 1 660 შეადგენს. ყველა მათგანთან სოციალური აგენტები მივლენ. მოახდენენ მათ აღწერას და კითხვარების შევსებას. კითხვარები, გარდა იმ ინფორმაციისა, რაც სოციალურად დაუცველ ადამიანთა მონაცემთა ბაზაში უკვე არსებობს, მოგვცემს დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას, რათა მოხდეს დიფერენცირება, რამდენია რეალურად ღარიბი და რამდენი — ხელოვნურად მიკედლებული. სამწუხაროდ, ასეთი არცთუ ისე ცოტაა. ამასთან, ანკეტირება საშუალებას მოგვცემს, მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, თუ რითი შეიძლება მათ დამატებით დავეხმაროთ, იქნება ეს ჯანმრთელობის პრობლემები თუ სხვა პრობლემები. გარდა ამისა, ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს, გავარკვიოთ სოციალურად დაუცველ ოჯახებში არსებობს თუ არა ერთი ადამიანი მაინც, რომელიც შრომისუნარიანია, რათა მათ დასაქმება შევთავაზოთ. ყველაზე მთავარი ამოცანა კი გახლავთ ის, რომ გამოვყოთ ბიუჯეტი, რათა ყველაზე გაჭირვებული ოჯახების ბინის ქირით დაკმაყოფილება დავიწყოთ", — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, 50 ობიექტზე, სადაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეები არიან შეჭრილნი, 16 ობიექტზე სოციალური აგენტები უკვე შევიდნენ და აღნიშნული კატეგორიის ადამიანების ინტენსიური ანკეტირება მიმდინარეობს.

— მათი მხრიდან ძირითადად სოციალურ აგენტებთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი მჟღავნდება. ჩვენი გათვლებით, ამ სამუშაოების დასრულებას მიმდინარე კალენდარული კვირის ბოლოს შევძლებთ. ამის შემდეგ კი, 4-5 დღე დაგვჭირდება მონაცემების დამუშავებისთვის და უკვე ვფიქრობთ, რომ მომავალი კვირის მეორე ნაწილისთვის შეგვიძლია ყველაზე გაჭირვებული ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა. მათი ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება დავიწყოთ და ასევე უახლოეს მომავალში უზრუნველვყოთ მათი დასაქმება, ვისაც შრომის უნარი შესწევთ, — აღნიშნა მინისტრმა.

დევნილების მიერ სხვადასხვა შენობებში შეჭრა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მატარებელია. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, დავით დარახველიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე 1 600-ზე მეტი დევნილი 46 ობიექტშია შეჭრილი. მინისტრის განცხადებით, მიმდინარეობს კომისიების მუშაობა, რომლებიც პერსონალურად სწავლობენ ოჯახებს და მათ მდგომარეობას, ხოლო პარალელურად ინტენსიურად დაიწყება საგამოძიებო მოქმედებებიც.

— ამ მდგომარეობით თავად დევნილები არიან შეწუხებულები, რომლებიც ხვდებიან, რომ ორგანიზებულ ძალასთან გვაქვს საქმე, — განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, არსებობენ კონკრეტული პირები, რომლებიც ცდილობენ ხელი მოითბონ სხვის გაჭირვებაში. დარახველიძის განცხადებით, მათ აქვთ კონკრეტული სახელები და გვარები, რომლებიც თავად დევნილებმა მიაწოდეს, ვინც, მინისტრის თქმით, ამ თაღლითურ სქემაში არიან ჩართულები.

— ერთი მხრივ, გამოვლინდებიან თაღლითები, რომლებიც, უკვე რამდენჯერ, ცდილობენ ასეთი სიტუაციით სარგებლობას, ხოლო შემდეგ ამ ფართების გაქირავებას ან გაყიდვას; ხოლო მეორე, რაც მოხდება, გამოვლინდებიან ნამდვილად შეჭირვებულები და მათი პრობლემების გადასაწყვეტად სერიოზულად ვიფიქრებთ, — განაცხადა დარახველიძემ.

მან დევნილებს, რომლებიც შეჭრილები არიან შენობებში, მოუწოდა, ნუ გაამძაფრებენ სიტუაციას, რადგან ეს არ იქნება გამოსავალი.

— ეს არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მატარებელი ქმედება. მყისიერად ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, ამიტომ მოვუწოდებ მათ, ნუ გააგრძელებენ ასეთ ქმედებებს. ჩვენ ცივილური ურთიერთობა გვაქვს მათთან, თუმცა, როდესაც დანაშაულის ნიშნები ყოველგვარ ზღვარს გასცდება, სახელმწიფო იძულებული იქნება დაიცვას როგორც დევნილების და ადამიანების ინტერესი, ასევე წესრიგიც, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე განცხადებით, ვისაც დაუმტკიცდება, რომ უკანონოდ აქვს ფართი დაკავებული, მათი გამოსახლება მოხდება და ამასთან აღნიშნა, რომ ეს გამოსახლება ცივილიზებული ფორმით მოხდება.

— კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილების ფართებით უზრუნველყოფა ორი წლის ვადაში განხორციელდება, — განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „რუსთავის №16 დაწესებულებაში ბუნტის საფუძველი არ არსებობს"



რუსთავის №16-ე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების მხრიდან დესტაბილიზაციისა და ბუნტის წამოწყების საფუძველი არ არსებობს, — ამის შესახებ საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა.

მისი თქმით, გაესაუბრა 800-მდე პატიმარს, ასევე, საუბარი ჰქონდა ციხის ადმინისტრაციასთან და ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღო. დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, პატიმრებს იმ 22 ადამიანთან აქვთ პრეტენზია, რომლებიც წლების განმავლობაში №16-ე დაწესებულებაში მუშაობენ.

როგორც დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, პატიმრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული 22 თანამშრომელი შემჩნეულია პატიმრების წამებაში, ცემასა და ღირსების შემლახველ ქმედებებში. ლორთქიფანიძეს პატიმრებმა გამოატანეს აღიშნული პირების სია და ხელმოწერები, რომლითაც ითხოვენ, ახლად დანიშნულმა სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანოს და მოკლე პერიოდში მოხდეს აღნიშნული ფაქტის შესწავლა.

ინტერპრესნიუსი

# კახა ბენდუქიძემ რადიოლოგიის ინსტიტუტში მხოლოდ ორი შტატი დატოვა



„გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი" ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის აღდგენას და რადიოლოგიის ინსტიტუტის აგრარული უნივერსიტეტისგან გამოყოფას ითხოვს.

როგორც „მედიანიუსს" „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის" თანათავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილმა განუცხადა, ზაჰესში მდებარე რადიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში არსებობს რადიაციული ნარჩენების საცავი, რომელიც ამ დროისათვის დაცვის გარეშეა დარჩენილი.

ორივე ინსტიტუტი აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია, რომლის მფლობელიც კახა ბენდუქიძეა, რომელმაც რადიოლოგიის ინსტიტუტის საშტატო ერთეული ორამდე დაიყვანა.

„ამ ეტაპზე ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი უკვე გაუქმებულია, რაც სერიოზული დანაშაულია. რაც შეეხება რადიოლოგიის ინტიტუტს, დაყვანილია ორ საშტატო ერთეულამდე, რაც აბსურდია და ინსტიტუტის არსებობა ფორმალობად არის გადაქცეული", — განაცხადა ჩხარტიშვილმა დასძინა, რომ მისი და რადიოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კვლევითი ინსტიტუტების უკვე ყოფილი დირექტორების მოთხოვნაა, აღდგეს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი, უზრუნველყოფილი იქნეს რადიოაქტიური ნარჩენების დაცვა და რადიოლოგიის ინსტიტუტი გამოეყოს აგრარულ უნივერსიტეტს.

როგორ ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რადიაციული ნარჩენების საცავის უყურადღებოდ დატოვებას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს.

მედიანიუსი

# „მეათეკლასელები პირველკლასელების მერხებზე სხედან“

გულიკო ბალაძე

დღეს ორბელიანების სასახლის ძირეული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, რამაც მის გვერდით არსებული საჯარო სკოლის გაუქმება გამოიწვია. თუმცა, შენობაში დღეს არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს. 68-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები მე-20 სკოლას შეუერთეს, მეოცე სკოლის ერთ კორპუსში აქვს დადებული ბინა და სამცვლიან სწავლებაზეა გადასული. მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ბუნებრივი დროით სწავლების საშუალება არ არსებობს. 68-ე საჯარო სკოლის შენობა კი სამი კორპუსის ერთობლიობას შეადგენდა. ამჟამად მისი ერთი ნაწილი დანგრეულია, მაგრამ დარჩენილ ნაწილებშიც კი, თავისუფლად შეიძლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა. ამიტომ 68-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები და მათი მშობლები სკოლის შენობისა და სტატუსის დაბრუნებას მოითხოვენ.

68-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა სახელით საუბრობს პედაგოგი **მარინა გელაშვილი:**

— 68-ე სკოლის შენობის რემონტი 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (რეფორმის შესაბამისად, რაც იყო გათვალისწინებული). გაარემონტეს სკოლა, თითქმის ევროპის სტანდარტებს გაუთანაბრეს (განსაკუთრებით სკოლის დარბაზი) და ერთ დღესაც, გასული სასწავლო წლის მეორე ნახევარში, დაახლოებით მარტში, ჭორის დონეზე გავიგეთ, რომ იმ შენობაში შეიძლება ვეღარ გაგვეგრძელებინა სასწავლო პროცესი, ვინაიდან ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქცია დაიწყეს, რომელიც ჩვენს სკოლას ესაზღვრება. იქაც ვიკითხეთ, რა ხდებოდა. გვიპასუხეს, რომ ორბელიანები იმსახურებენ ჰქონდეთ ნორმალური სასახლე, რომ იქ იყოს სახლ-მუზეუმი. რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იქ არანაირი სახლ-მუზეუმისთვის არ მიმდინარეობდა მუშაობა და მთავრობის კანცელარია უნდა გადმოსულიყო. ივნისში, როცა დასრულდა სასწავლო პროცესი და ჩვენ გვქონდა გამოცდები, გამოცდების პერიოდში მოიყვანეს ტექნიკა (ისე, რომ სკოლაში იყო სამუშაო გარემო), სკოლას მოაყენეს და ხელოსნებმა სკოლის შენობის დაცლა დაიწყეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, — აცხადებს მარინა გელაშვილი.

*— თქვენი ინვენტარი გამოჰქონდათ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე?*

— დიახ. სკოლაში გამოცდებს ვატარებდით. ხელოსნებმა გვითხრეს, რომ დირექტორის თანხმობა ჰქონდათ. თანხმობა იყო თურმე გვიან საღამოს 8 საათზე, მაგრამ, როცა მუშები შენობაში შემოვიდნენ, იმ პერიოდში დირექტორი სკოლაში არ იმყოფებოდა და მათ წინ აღვუდექით. გამოვიძახეთ პატრული, მოვიყვანეთ ინჟინრები, ვინც უძღვებოდნენ ამ საქმეს. მოვიყვანეთ ტელევიზიები, მოვიდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ნინო კავთიევსკი და ჩვენი რესურსცენტრის წარმომადგენელი. სამუშაოს მწარმოებელმა პატრული გვერდით გაიხმო, რაღაც ჩაუჩურჩულა და ისიც რადიკალურად შეიცვალა. ჩვენ გვითხრეს, რომ არაფერი შეგეხებათ, მასწავლებლები სამუშაო ადგილებს შეინარჩუნებთ, მოსწავლეებს ექნებათ უკეთესი სამუშაო პირობები. რა გადარდებთ, რომელ შენობაში ისწავლით და რა იქნებაო. შემდეგ, როდესაც ავტეხეთ საშინელი განგაში, დირექტორი წავიდა სამინისტროს წარმომადგენელ გენრიეტა მუმლაძესთან, რომელმაც გვითხრა, ეს კორპუსი დაინგრევა, ასეა გადაწყვეტილი. ეს მთავრობას სჭირდება, თქვენ ვინ ხართ, წინ დაუდგეთო.

*— შენობის მთლიანად დანგრევაზე საუბრობდა?*

## რა ხდება 68-ე სკოლაში

**სააკაშვილის საპირველკაცო და საპრეზიდენტო ამბიციებმა და ვაიმშენებლობებმა ამჯერად ძველისძველი სკოლა, ყოფილი თბილისის ქალთა გიმნაზია შეიწირა. არჩევნებამდე საზოგადოებაში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ სააკაშვილმა ახალი რეზიდენციისთვის ორბელიანების სასახლეს (ყოფილი ამერიკის საელჩოსა და „იუსაიდის“ შენობა) დაადგა თვალი.**



— არა. ერთი კორპუსი მთლიანად დაინგრა, მაგრამ წინ არის კორპუსი, რომელიც ძეგლთა დაცვის ნუსხაშია შეტანილი და ხელი ვერ ახლეს დროებით. ვინაიდან ჩვენ გამოვთქვით პროტესტი, საარჩევნო პერიოდი იყო და ხელისუფლებას ჩვენი პროტესტი მაინცდამაინც არ აწყობდა. გვითხრეს, დარჩით ამ შენობის მეორე ნაწილში, ოღონდ, თუ ამ შენობას გაუჩნდა ბზარები, მოსწავლეებს ხომ არ ჩააგდებთ საშიშ პირობებშიო. მთელი სკოლა დაბზარულია. კაპიტალურ რემონტებს კი ატარებდნენ, მაგრამ არ ეხებოდნენ ჭერს. 15-ჯერ გააკეთეს ტუალეტი. რაღაც მოაპირკეთეს, შემოსასვლელი, სპორტული დარბაზი და მუსიკალური სტუდია, მაგრამ ჭერამდე არ იყვნენ მისულები იმ კორპუსში, სადაც გვტოვებდნენ. შემდეგ იმ კორპუსიდანაც გამოგვიშვეს. ეს უზარმაზარი კორპუსი დგას უფუნქციოდ. ამ წუთში სამსახურებიც გვაქვს და გარემო პირობებიც, ოღონდ ვასწავლით სამ ცვლაში. ბავშვები სხედან არასტანდარტულ მერხებზე. მეათეკლასელები სხედან არასტანდარტულ პირველი კლასის მერხებზე. პირველი ცვლა შემოდის 9 საათზე, მეორე – 12 საათსა და 20 წუთზე, მესამე ცვლა შემოდის 3 საათზე. შეგვაერთეს მე-20 სკოლას, ცალკე შენობა არ მოგვცეს. 68-ე საჯარო სკოლა, საერთოდ აღარ არსებობს. უკვე მე-20 სკოლა ვართ, ანუ სტატუსიც აღარ გვაქვს, რადგან სხვა სკოლას შეგვაერთეს, მოსწავლეების ნაწილი წავიდა სკოლიდან. ფინანსურად კლასები კი დაგვიმტკიცეს 15 და 20 ბავშვზე (ბავშვები ძალიან დაგვაკლდა), მაგრამ ეს არის დროებითი – სკოლა ერთ კლასში 18 ბავშვით თავს ვერ შეინახავს და კლასების ოპტიმიზაცია მოხდება. კლასების ოპტიმიზაცია მასწავლებლების ოპტიმიზაციას გამოიწვევს და, ფაქტობრივად, მათი პირობა დაირღვევა. იმედი გვაქვს, ახალი ხელისუფლება რაღაცას გააკეთებს.

მოვითხოვთ დაგვიბრუნონ ჩვენი შენობა და ჩვენი სტატუსი, რომელიც წაგვართვეს. არ შეიძლება ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდეს სასწავლო პროცესი. მაშინ, როცა რეფორმა ითვალისწინებს არაორცვლიან სწავლებას. რეფორმის შესაბამისად, მასწავლებელმა ხარისხიანი ცოდნა რომ მიაწოდოს მოსწავლეს, პირველ რიგში, მას სჭირდება შესაბამისი გარემო.

*— თქვენი ინვენტარი სად წაიღეს?*

— ჩვენი ინვენტარი 104-ე სკოლაში დავაწყეთ. აქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და ფიზიკურად ვერ იტევდა დერეფნები. 104-ე სკოლის დირექტორმა რამდენიმე დღის წინ შემოგვითვალა, წაათრიეთ (მის სიტყვებს გეუბნებით), სანამ გადავყრიდეო. ნაწილი სპორტდარბაზშია შენახული, რომელსაც ჯერ ადგილიც ვერ მოვუძებნეთ. სპორტდარბაზიც დაკეტილია.

68-ე სკოლის კორპუსი ვის ბალანსზეა, ვერ გაირკვა. სამინისტრომაც არაფერი იცის. სამინისტრომ შტატებიც ვერ დაგვიმტკიცა. ჩვენ ახალი მინისტრის იმედი გვაქვს. ადვოკატიც გვყავს და სამართლებრივ ბრძოლას ვაპირებთ. პირველი ნაბიჯი განათლების სამინისტროსთვის განცხადებით მიმართვა იქნება. ჩვენ ამ ნახევრად დაუმთავრებელ შენობაში დავიწყეთ სასწავლო პროცესი. არაოფიციალური წყაროებიდან ვიცით, რომ ჩვენი, 68-ე სკოლის სარემონტოდ გამოყოფილი ნახევარი მილიონი ლარი ჩაერიცხა ამ სკოლას, სადაც ახლა ვართ. ჩვენ ველოდებოდით ამ თანხის გამოყოფას. დირექტორი ამბობდა, თუ 500 ათასი ჩაგვერიცხება, მაშინ ჩვენ სკოლას კარგად გავარემონტებთო. გულსატკენი კიდევ ისაა, რომ ჯერ კიდევ იანვარში მოვიდა უცხო მამაკაცების ჯგუფი, სურათებს უღებდა სკოლის ფასადს. დაგვაინტერესა, დირექციაში ვიკითხეთ, რა ხდებოდა. დირექტორმა გვიპასუხა, მშენებლები არიან, რომლებიც ჩვენ სკოლას კარგ რემონტს გაუკეთებენ, ანუ 500 ათასი სულ მალე ჩაგვერიცხებაო. აღფრთოვანებული ვიყავით. იანვრის შემდეგ სასწავლო პროცესი რომ დაიწყო, სკოლაში მოვიდა განათლების მაშინდელი მინისტრი შაშკინი. ის სკოლაში მოულოდნელად შემოვიდა, დიდი ნაბიჯებით უცბად სკოლა შემოირბინა, მასწავლებლებს, ვინც დერეფანში შევხვდით, მოგვესალმა და წავიდა. დირექტორმა გვითხრა, რომ შაშკინის მოსვლის მიზანი, ოპტიმიზაციით სხვა სკოლის შემოერთება იყო. აუცილებლად შემოგვიერთებენ სხვა სკოლის ბავშვებს და მკითხა, რამდენი ბავშვის დატევა შეგიძლიაო. რამდენიმე კვირის შემდეგ, სკოლაში შემოვიდა გენინსპექცია. გენინსპექციის დასკვნა ჩვენ არ გვინახავს. გენინსპექციამ ვერავითარი დარღვევა ვერ ნახა, თორემ ჩვენ ხომ გვეტყოდნენ? ან საყვედურს გამოგვიცხადებდნენ, ან გაგვაგდებდნენ, ან კიდევ დაგვაპატიმრებდნენ. ორი კვირის შემდეგ, სამხარაულის საექსპერტო ბიუროდან მოვიდა დასკვნა, რომ სკოლა ინგრევა, საგანგაშო სიტუაციაა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავანგრიოთ ის კორპუსი, რომ არ ჩამოინგრესო. მაშინაც დავსვით კითხვა, თუ სკოლა ინგრეოდა, 5 წლის მანძილზე, 2006 წლის მიწისძვრის შემდეგ, არემონტებდნენ და უმაგრებდნენ საძირკველს, რატომ არ ატეხეს განგაში? ანუ ამ დასკვნის წარმომავლობაში ეჭვი გვეპარება.

*— ასეთი დასკვნა სპეციალურად, შეკვეთით გაკეთდა?*

— ჩვენი სკოლის დასანგრევად ყველაფერი კეთდებოდა. პრეზიდენტიც კი იყო მოსული. აქ საშინელ პირობებში ვართ. სასწავლო პროცესისთვის შეუფერებელ პირობებში ვიმყოფებით. ამ სკოლის ჩვენი დირექტორი სასწავლო ნაწილის უფროსი გახდა. საუკეთესო ბიბლიოთეკა გვქონდა, სადაც 10 ათასი უნიკალური წიგნი გვქონდა. ახლა ეს წიგნები ერთ ოთახშია დაგროვილი. 10 ათასიდან 5 ათასი თუ იქნება დარჩენილი. კომპიუტერები, როგორც იქნა, მოვიტანეთ. თუმცა, ისინიც ერთი დღის განმავლობაში გარეთ ეყარა. ეს ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენი ძალებით და გვენანებოდა. ფაქტობრივად, სკოლა განადგურდა, მაგრამ მიზეზი ხომ უნდა გვითხრან, რა მიზეზით გაგვაუქმეს. თავს ვერ ვინახავდით, ბიუჯეტი არ გვყოფნიდა, არასათანადოდ ვასწავლიდით, არასამარისი კონტინგენტი გვყავდა, თუ რა იყო მიზეზი, ხომ უნდა გვითხრან, რატომ გაგვიუქმეს სკოლა. ბრძანება მოვიდა 27 ივნისს, 10 აგვისტოს ჩვენი დირექტორი ისევ დირექტორად ითვლებოდა და ბეჭედი ისევ ჰქონდა. ბრძანებაში წერია 68-ე საჯარო სკოლისა და მე-20 სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. რეორგანიზაცია ნიშნავს, საწარმოს ან უწყების გადაკეთებას, გარდაქმნას. ჩვენ შემთხვევაში კი არ გარდაქმნეს, ჩვენ გაგვანადგურეს, მე-20 სკოლა კი, ალბათ, გარდაიქმნა. უკეთესად გარემონტებულ შენობაში ვართ, მაგრამ ეს არ გვაძლევს სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის საშუალებას.

*— როგორც ვიცი, არც მოსწავლეებს და მათ მშობლებს მოსწონთ სკოლის გაუქმება და მეორე-მესამე ცვლაში სწავლა. თანაც სკოლის აქ გადმოტანით მათ უამრავი პრობლემა წარმოეშვათ.*

— რა თქმა უნდა, ასეა. ამიტომ 120 ბავშვი მაინც გაგვეფანტა ამ ე.წ. რეორგანიზაციით. იქნება თუ არა მართალი ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო, თუ შეგვედავება. თუკი შენობა სჭირდებოდათ, ეს შენობა აეღოთ.

ახლახან ორბელიანის სასახლის რემონტზე მომუშავე ადამიანებისაგან გავიგეთ, რომ ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქციას ქალაქ თბილისის მერია კურირებს. მერიიდან მოდის დავალება, რომელიღაც სამშენებლო ფირმა ახორციელებს სამშენებლო თუ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ეს სკოლის შენობა კი არაფერში სჭირდებათ და იქ სამუშაოებს არც აწარმოებენ. უბრალოდ, ახლა ამ შენობას იყენებენ ორბელიანების სასახლეში სამუშაოების საწარმოებლად.

მისივე თქმით, ორბელიანების სასახლეში მინისტრების გადმოყვანა უნდათ. ძნელი სათქმელია, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, რადგან პრემიერ-მინისტრი და მინისტრები უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. არანაირ სასახლეში გადასვლა მათ არ სჭირდებათ. როგორც ჩანს, არჩევნების შემდეგ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას გეგმები ჩაეშალათ და სკოლის შენობას თავი დაანებეს. ახლა 68-ე სკოლა გავერანებული დგას და ელოდება მისი დანიშნულებისა და სტატუსის აღდგენას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, ამ სკოლის მდგომარეობაზე განათლების მინისტრს უკვე მიაწოდეს ინფორმაცია და ის უახლოეს ხანში ამ საკითხს დეტალურად განიხილავს. სააკაშვილმა კეთილი ინებოს და სკოლას ის მონგრეული ნაწილი აღუდგინოს. საერთოდ, იქ რა ხდება, ეს სპეციალური შესწავლის საგანია, რა იყო გათვალისწინებული, რა უნდათ ახლა. დროა განათლების სამინისტრომ აღადგინოს 68-ე საჯარო სკოლა, რომ ნორმალური სწავლა-განათლების საშუალება მიეცეთ მოსწავლეებს, რომლებსაც აერიათ გრაფიკი. შეიძლება ახლა ორბელიანების სასახლეს მერიამ დაადგა თვალი, რადგან თავისუფლების მოედანზე მერიისა და საკრებულოს ცნობილი შენობაც ნაციონალების უაზრო ამბიციების მსხვერპლი გახდა და დღესდღეობით დანგრეულია და შეიძლება ამ შენობასთან დაკავშირებით კიდევ აქვთ რაღაც ჩანაფიქრი.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „დავაბრუნოთ მსახიობები რუსთავის თეატრში“

გერა მამულაშვილი

**„უფლებადამცველთა გაერთიანება“ რუსთავის დრამატულ თეატრში სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს. ორგანიზაციის ლიდერი ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ უკანონოდ გაშვებული მსახიობები სამსახურში უნდა დაბრუნდნენ და სათანადოდ დაფასდნენ. მისივე თქმით, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმა, ვინც სახელისუფლებო ადმინისტრაციის წაყრუებით და ხელშეწყობით, თეატრის პარალიზებას ხელი შეუწყო.**

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარეს, ნიკოლოზ მჟავანაძეს ვესაუბრებით.

*— რაში მდგომარეობს პრობლემის არსი და კონკრეტულად რას ითხოვს თქვენი ორგანიზაცია?*

— სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, შოუბიზნესის და კულტურის მუშაკები, გარდა იმისა, რომ რეჟიმის გაძლიერებისთვის, საკუთარი ფინანსური კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ, ხელებს აფათურებდნენ ისეთ საქმეებშიც, რაც მათ პრეროგატივას არ წარმოადგენდა. ასეთია ნიაზ დიასამიძის და ზაზა კორინთელის( ზუმბას) მაგალითი, როდესაც მათი პროტექციით რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ლაშა ნოზაძე დანიშნეს. გამოცდილი რეჟისორი გოჩა კაპანაძე სამსახურიდან გაუშვეს. ეს სახელისუფლებო ადმინისტრაციის ნების გარეშე მოხდებოდა. გამოცდილი მსახიობები თატრიდან ისე გაუშვეს, მიზეზის შესახებ ვერაფერი გაიგეს. შეიტყვეს მხოლოდ მაშინ, როცა ბანკში ხელფასის ასაღებად მივიდნენ; რომ გადარეკეს და მიზეზი იკითხეს, ამის თქმა გაგვიჭირდაო – უპასუხეს. ორმა ადამიანმა ამ პრესს, დამცირებას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. თეატრის მსახიობები, სწორედ „ჩარეცხილ საზოგადოებას“ მიაკუთვნეს. ჩვენ ვთხოვთ პრემიერის და კულტურის მინისტრს, შეისწავლონ საკითხი და ეს ხალხი თეატრში დააბრუნონ, ღირსება აღუდგინონ. ასევე მოვითხოვთ თეატრის მართვის საკითხების შესწავლას. დიდი ეჭვებია, რომ სისხლის სამართლის დანაშაული, სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული თანხების გაფლანგვა მოხდა. საქმე გამოსაძიებლად მთავარ პროკურორ, არჩილ კბილაშვილს გავუგზავნეთ. მოყვანილ ხალხს კი სპექტაკლიც არ დაუდგია; ერთი გველისმჭამელი დადგეს და ისიც ჩაუვარდათ. თეატრი პარალიზებულია, რუსთავს ის წაართვეს. უკანონო გადაწყვეტილებების შემოქმედნი უნდა დაისაჯონ. ერთმა კალათბურთი უმდა ითამაშოს, მეორემ მუსიკა უნდა დაწეროს, იმღეროს. დღევანდელ თეატრს კალათბურთელი გეგი ლიპარტელიანი და მუსიკოსი ლაშა ნოზაძე მართავს. შეიძლება კოჩა კაპანაძე გაუშვა თეატრიდან და ისინი დანიშნო თანამდებობებზე?

*— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ რუსთავის თეტრში სამართლიანობის აღდგენის პროცესი?*

— პირველ რიგში, დაღუპული მსახიობების ოჯახებს სახელმწიფო ფინანსურად უნდა დაეხმაროს. ისინი ამ უკანონობას შეეწირნენ, ვერ გაუძლეს უბრალოდ. გარეთ დარჩენილები თეატრში უნდა დავაბრუნოთ და სათანადოდ დავაფასოთ. მათ თეატრი აქამდე საკუთარი ზურგით მოიტანეს; ეს უშუქობაში, უხელფასობაში და ათასგვარ უბედურებაში გააკეთეს. არც ბოლო დროს ჰქონდათ იდეალური პირობები. სამას ლარიან ხელფასზე მუშაობდნენ, ესეც წაართვეს. ადამიანები ფიზიკური განადგურებისთვის გაწირეს. მსახიობმა სხვა რა უნდა გააკეთოს? აქ არიან სხვადასხვა პრემიების, ჯილდოების ლაურეატები, თავის დროზე სახელმწიფოს მხრიდან დაფასებულნი. გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ეს ხალხი სანაგვეზე გავუშვათ? ღირსების აღდგენა, მათი დაბრუნება იქნება, ამისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

*— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ადგილზე ხომ არ აპირებენ რაიმე ნაბიჯის გადადგმას, ვითარების გამოსასწორებლად?*

— მესმის, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ცოტა სხვა საფიქრალი აქვთ, როგორმე თბილი კაბინეტებიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ გადაინაცვლონ. მაგრამ ვფიქრობთ, საქართველოში კანონი, სასამართლო დაფასდება და ეს ხალხი სიმართლეს ჰპოვებს. გურამ ოდიშარია პატივსაცემი ადამიანია, პარლამენტში თეატრის მოღვაწეებიც არიან – გოგი ქავთარაძე, ზაზა პაპუაშვილი, ბათიაშვილი, ქანთარია; ვინ თუ არა მათ იციან, ვინ არის მსახიობი და რაში მდგომარეობს თეატრის ღვაწლი და როლი. რუსთავის საზოგადოება ამ თეატრით საზრდოობდა. სამართლიანობის აღდგენის ძალიან დიდი შანსები გვაქვს. რაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, მიზერული იქნებოდა.

*— სასამართლო გზითაც ხომ არ აპირებთ ბრძოლის წარმართვას?*

— გადაწყვეტილებები პირველ რიგში ადგილობრივი ხელისუფლების და კულტურის სამინისტროს დონეზე იქნება მიღებული. სასამართლომ და პროკურატურამ უნდა გამოიძიოს დანაშაულობები, რაც თეატრთან დაკავშირებით მოხდა. ეს ხალხი რეალურად გადასარჩენია, პროცესი უნდა დაიწოს; ეს არ არის ულტიმატუმი, თხოვნაა ახალი ხელისუფლების მიმართ, რომელიც ჯერ იწყებს მუშაობას.

***

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ პრესკონფერენციის და ამ ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, ორგანიზაციის წარმომადგენლებს რუსთავის სამხარეო ადმინისტრაციიდან დაუკავშირდნენ და „შეხვედრა-დალაპარაკება“ სთხოვეს, თუ ამ განცხადებას „რაიმე პოლიტიკური სარჩული“ არ ედო საფუძვლად. უკვე რუსთავის ადმინისტრაციაში გამართულ დიალოგზე და შედეგებზე კომენტარი ასევე ნიკოლოზ მჟავანაძეს ვთხოვეთ:

— მივედით აღნიშნულ შეხვედრაზე, რომელსაც დავით კირკიტაძე და ვიცე-მერი შორენა გარდაფხაძე ესწრებოდნენ. კირკიტაძემ სიტუაციაში გარკვევის სურვილი გამოთქვა. ავუხსენით, რომ უკანონოდ გაშვებული ხალხი, თეატრში დასაბრუნებელია. გვითხრა, კიდევ რომ პრობლემები არ შეიქმნას, კულტურის სამინისტროსთან კონსულტაციებით ამ პრობლემას გადავწყვეტთო. აღნიშნულ უწყებასთან მოლაპარაკება დაწყებულია და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულებს დააჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა 2012“ თავის რჩეულებს 10 დღეში დაასახელებს და საუკეთესოებს ფულადი პრიზებით დაასაჩუქრებს. წელს კონკურსში მონაწილეობის სურვილი 200-მდე სტუდენტმა გამოთქვა და მაგან კომპეტენტურმა ჟიურიმ ათი ფინალისტი დაასახელა. ფინალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის – 6, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის – 2, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის – 1 და თავისუფალი უნივერსიტეტის 1 სტუდენტი გავიდა.

რჩეულთა შორის მოხვდნენ დავით ბაბიაშვილის „თარო“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), დავით გორგილაძის „ორი კაცის სახლი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ლუკა გორდაძის „პენტაედრა“ (თავისუფალი უნივერსიტეტი), ანა ლაზვიაშვილის „ცხვრები“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თამარ მეზვრიშვილის *** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თამარ ფოლადაშვილის „დედების საქმე“ (თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), გურამ ღონღაძის „მეორე“ (თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), თამარ ჩანტლაძის „ლელი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თამუნა ჩქარეულის *** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და რატი წეროძის „ასჯერ გაკერილი“ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). „შემოდგომის ლეგენდის“ ფინალისტები უკვე იმყოფებოდნენ კახეთში, სადაც იმპროვიზაციულ ტურში მიიღეს მონაწილეობა.

„ახალი სახეები... ახალი სახელები, შენი ხელწერა“ – ასეთი სლოგანი აქვს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის სურვილს წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი სტუდენტი გამოთქვამს.

– თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული, თუ გიყვარს ლიტერატურა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია ჯეოსელი გთავაზობთ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა“, – ასეთი გზავნილით მიმართავენ თბილისში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორები.

წელს კონკურსი ქართულ შატოში გაიმართა. მასში მონაწილეობა თბილისში აკრედიტებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეეძლოთ. ათმა ფინალისტმა 8 საათის განმავლობაში იმპროვიზაციულ ტურში მიიღო მონაწილეობა და ნაწარმოები დაწერა. ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა, პირველ ეტაპზე მოეწყო შიდა შესარჩევი ტური. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა წარედგინათ პროზაული ნაშრომი, ან ნაწყვეტი ვრცელი მოთხრობიდან, რომლის ჟანრიც და თემაც შეუზღუდავია. მეორე ტურში გადავიდა ის 10 ფინალისტი, რომლებმაც უკვე იმპროვიზაციულ ტურში მიიღეს მონაწილეობა. წელს კონკურსის ორგანიზატორებმა ფინალისტებს სიახლე შესთავაზეს – თუკი გასულ წლებში ჟიური კონკურსანტებს კონკრეტულ ფრაზას აწვდიდა, რომლის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ და ნაწარმოები დაეწერათ, წელს ორგანიზატორებმა ფინალისტებს სიახლე შესთავაზეს. ფრაზების ნაცვლად მათ დაურიგდათ წერილები სლოგანით „კედლის წერილები“, რომლის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ მონაწილეებს და ლიტერატურული ნაწარმოები შეექმნათ.




კახეთში, შატო მერეში იმყოფებოდნენ ჟიურის წევრებიც. წელს ჟიურის შემადგენლობაში თანამედროვე ქართველი მწერლები შედიოდნენ – დავით ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, სალომე ბენიძე და ივა ფეზუაშვილი, რომელიც გასული წლის „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულია. სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ამ წლიდან დამკვიდრდება ახალი ტრადიცია – ყოველ წელს პირველი ადგილის მფლობელი ავტომატურად მომდევნო წლის ჟიურის წევრი გახდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულად პრემიას და კომპანია „ჯეოსელის“ პრიზებს გამარჯვებული სამეული მიიღებს – პირველი ადგილის მფლობელს გადაეცემა 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო, მეორე ადგილის მფლობელს – 700 ლარი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს – 500 ლარი. გამარჯვებულებს ასევე გადაეცემათ ჯეოსელის საჩუქრები და შატო მერეს სამახსოვრო საჩუქრები.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ წელს უკვე მეოთხედ ტარდება. ლიტერატურული კონკურსი 2009 წელს იყალთოში გაიმართა, 2010 წელს – ყვარლის ტბაზე, ხოლო 2011 წელს – ლოპოტას ტბაზე. გასული წლებისგან განსხვავებით, 2012 წლის კონკურსში მონაწილეობის მიღება თბილისში აკრედიტებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეეძლოთ.

– შედეგები ჯერ არ არის ცნობილი. სავარაუდოდ 10 დღეში ან ორ კვირაში უკვე გვეცოდინება ვინ არის წლევანდელი სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები და მათ საზეიმო ვითარებაში დავასაჩუქრებთ. ნოემბრის დასაწყისში დაგეგმილ კონკურსის დაჯილდოების საღამოზე კი იმპროვიზაციული ტურის საუკეთესო ნაწარმოებებისაგან შექმნილი კრებულის პრეზენტაციაც გაიმართება, – ნათქვამია უნივერსიტეტის სპეციალურ განცხადებაში.

„შემოდგომის ლეგენდასთან“ ერთად თსუ ატარებს კონკურსს საუკეთესო ესეს გამოსავლენად. ღონისძიება მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის იუბილეს ეძღვნება და მასში მონაწილეობა მხოლოდ დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტების შეუძლიათ. ნაშრომის თემაა „საქართველო კიდევ ოცი წლის შემდეგ“.

– ეს კონკურსი საუკეთესო ესეის გამოსავლენად ეწყობა მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის ალსანიშნავად. დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ქვეყნის მასშტაბით ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, იმსჯელონ საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე. კონკურსის მიზანია, ჩართოს სტუდენტები ინტელექტუალურ დისკუსიაში საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. კონკურსში მონაწილეობას იღებს ყველა უმაღლესი სასწავლებელი. მონაწილე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წარდგენილი ნაშრომების პირველად შეფასებას მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი საკონკურსო წესების მიხედვით. საუკეთესო ესეები წარედგინება მსოფლიო ბანკის კომისიას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. გამოვლინდება ათი საუკეთესო ესეის ავტორი და მათი უმაღლესი სასწავლებელი. ნაშრომები გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე. ხუთი საუკეთესო ესეის ავტორი მიიღებს 1.000 ლარის ოდენობის ფულად ჯილდოს. ნაშრომები კი 24 ნოემბრის ჩათვლით მიიღება, – ნათქვამია თსუ-ს სპეციალურ განცხადებაში.

ეს კონკურსიც „შემოდგომის ლეგენდის“ მსგავსად ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე ნაშრომი უნდა იყოს წარდგენილი იმ უნივერსიტეტის მეშვეობით, სადაც სტუდენტი სწავლობს. ნაშრომის დაწერა შესაძლებელია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ის უნდა იყოს სტუდენტის მიერ შესრულებული და მითითებული უნდა იყოს გამოყენებული წყაროები და რაც მთავარია, ესეი უნდა ეხმაურებოდეს გამოცხადებულ თემას: საქართველო კიდევ ოცი წლის შემდეგ.

როგორც თსუ-ში აცხადებენ, ყველა წარმოდგენილი ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, ამ ხედვის განსახორციელებლად გასავლელი გზა, აზროვნების ლოგიკური ჯაჭვი, ესეიში გამოხატული მოსაზრებების ძლიერი დასაბუთება და ორიგინალური, შემოქმედებითი გადაწყვეტა. სტუდენტების მიერ არჩეული სტილი თუ მიდგომა აბსოლუტურად თავისუფალია.

კონკურსის მეორე ეტაპზე მსოფლიო ბანკის კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ყველა აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით. გამარჯვებულთა ვინაობა გამოცხადდება 14 დეკემბერს მსოფლიო ბანკის პრესრელიზში. გამარჯვებული ესეები გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებ გვერდზე, გამარჯვებული სტუდენტები და მათი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ჯილდოების გადასაცემად მოწვეულ იქნებიან მსოფლიო ბანკის მიერ 18 დეკემბერს გამართულ სპეციალურ მიღებაზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფოტოკონკურსი გამოაცხადა, სახელწოდებით „უნი კადრი“. როგორც კონკურსის ორგანიზატორები განმარტავენ, კონკურსანტს ევალება მხოლოდ გადაიღოს უნივერსალური კადრი უნივერსიტეტის შესახებ, გახდეს ფოტოკონკურსის გამარჯვებული და მოიგოს პრიზები. ამ კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან სამ ნომინაციაში – უნივერსიტეტელის საუკეთესო პორტრეტი, შენობის ფასადის ან უნივერსიტეტის დეტალების საუკეთესო ფოტოკადრი და სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრი. კონკურსანტებს ფოტოკონკურსში მონაწილეობის მიღება 25 ნოემბრის ჩათვლით შეუძლიათ. აუცილებელი მოთხოვნებშია კონკურსის თემატიკის დაცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით, თითოეულ ნომინაციაში ერთი ფოტოს წარდგენა, ფოტოს დასათაურება და მაღალი რეზოლუციის საავტორო ფოტოს წარდგენა. კომპეტენტური ჟიური გამოავლენს სამ ნომინაციაში გამარჯვებულს, ფოტოკონკურსის საპრიზო ფონდი 600 ლარი და სხვა პრიზები გამარჯვებულ სამეულზე გადანაწილდება. ფოტოკონკურსის დასასრულს გაიმართება გამოფენა, რომელზეც კონკურსის 30 საუკეთესო ფოტო იქნება წარმოდგენილი.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმსგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დუგლას კავთელაშვილი: „სსრკ-ს ჩემპიონატი რომ გაგრძელებულიყო, სულ პირველები ვიქნებოდით“

ზუსტად 25 წლის წინ ქუთაისის „მშენებელმა“, შემდეგში „აიად“ წოდებულმა, ქართული რაგბის ისტორიაში პირველად მოახერხა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შემდეგ ეს ტიტული კიდევ ორჯერ დაიცვა — სპორტის სათამაშო სახეობებში ასეთი შედეგი საბჭოურ პერიოდში რომელიმე სხვა ქართულ გუნდს არ ჰქონია.



1987 წლის საკავშირო ჩემპიონატში 12 გუნდი ასპარეზობდა, მათ შორის 3 ქართული – „მშენებელი“, თბილისის „შევარდენი“ და „ელმავალი“. პირველ ეტაპზე თამაშები ორ წრედ ჩატარდა. ამის შემდეგ გუნდები გაიყვნენ. პირველი ექვსეულის წარმომადგენლებმა ერთმანეთში სუპერფინალის წყვილი გამოავლინეს – „მშენებელი“ და მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდები.

სუპერფინალის პირველი მატჩი ქუთაისში გაიმართა. „მშენებელმა“ 7.000 გულშემატკივრის მხარდაჭერით 10:0 მოუგო მონინოელებს. ალექსანდრე ნაჭყებიამ ლელოთი (მაშინ ოთხი ქულით ფასდებოდა) გამოიჩინა თავი, ხოლო კახა მაჩიტიძემ ორჯერ არეკნით გაიტანა. სამი დღის შემდეგ „მშენებელმა“ უკვე გასვლით მატჩში დაამტკიცა თავისი სიძლიერე – 13:7. თამაზ ფხაკაძემ ლელო მიითვალა, ბათლომე ხამაშურიძემ ორი საჯარიმო გამოიყენა, ხოლო კახა მაჩიტიძემ თავისი საფირმო არეკნი შეასრულა. ქუთაისელი მორაგბეები საბჭოთა კავშირის ჩემპიონებად გამოცხადდნენ.

საკავშირო ჩემპიონატში ოქროსმედალოსნების საუკეთესო სნაიპერი 20 წლის ნუგზარ ძაგნიძე იყო. იგი 130 ქულით შეეწია საკუთარ გუნდს და ეს მიუხედავად იმისა, რომ შუა აგვისტოდან მოყოლებული, სამხედრო სამსახურში გამწესების გამო, „მშენებელში“ აღარ უთამაშია.

აღსანიშნავია, რომ 1987 წლის სეზონში ქუთაისელმა მორაგბეებმა „დუბლი“ შეასრულეს. ჩემპიონატის ოქროს მედლებზე ადრე მათ საკავშირო თასი დაისაკუთრეს.

წარმატებულ სეზონში „მშენებელს“ დუგლას კავთელაშვილი თავკაცობდა, გუნდის ღირსებას იცავდნენ: ნუგზარ ძაგნიძე, იგორ მარიამიძე, ბათლომე ხამაშურიძე, მიხეილ ხარშილაძე, ოლეგ ლიპარტელიანი (მოთამაშე მწვრთნელი), თამაზ გიორგობიანი, ოლეგ ჟორჟოლიანი, კახა გაბრიჩიძე, პაატა ძოწენიძე, გელა ხუჭუა, ავთანდილ გიორგაძე, ავთანდილ დეისაძე, მამუკა ლოსაბერიძე, კახა მაჩიტიძე, ზაზა თხელიძე, თამაზ ოდიშარია, ალექსანდრე ნაჭყებია, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, თამაზ ფხაკაძე, დავით დანგაძე, ბადრი შვანგირაძე, გია წივწივაძე, დავით ცხვარაძე, გრიგოლ გაბუნია, ალექსანდრე გრიგალავა, ალექსანდრე ლიკლიკაძე, რობერტ ობოლაძე (გუნდის კაპიტანი), თენგიზ ტურძელაძე, ბესარიონ ლილუაშვილი, ალექსანდრე გაბიძაშვილი, ემზარ გეგუჩაძე, გოჩა ჯიმშელეიშვილი.

ამ შემადგენლობიდან აღარ არიან ლიპარტელიანი, გიორგაძე, წივწივაძე და გეგუჩაძე.

ახლახან საქართველოში დაბრუნდა „ოქროს გუნდის“ სულისჩამდგმელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი.

ცხადია, თავისი საყვარელი საქმის გარეშე ვერც ახლა ძლებს და „აიას“ მატჩებს ესწრება საქართველოს პირველობაზე. მისი ნახვა სწორედ იქ მოვახერხეთ და ძველ თუ ახალ თემებზე ვესაუბრეთ.

**დუგლას კავთელაშვილი:**

– სასიამოვნოა, როცა ქუთაისში ასეთ ლამაზ სარაგბო ატმოსფეროს ვხედავ. ეს ქართული რაგბის მესვეურებთან ერთად გუნდის ვეტერანების დამსახურებაა. „აია“ ძალიან კარგი გუნდია. რაც მთავარია, უმაღლეს დონეზე აქვთ დისციპლინა. „ყოჩებთან“ თამაშში განსაკუთრებით ბესიკ ხამაშურიძის, თორნიკე ძაგნიძისა და ლევან თხელიძის თამაშს გამოვარჩევდი, თუმცა, უნდა ითქვას რომ, მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და ყველა მორაგბე მოწოდების სიმაღლეზე იყო. საქართველოს ჩემპიონატს ღირსეული ლიდერი ჰყავს. თუ ქუთაისურმა გუნდმა მომდევნო შეხვედრებიც ასე ჩაატარა სანუკვარ მიზანსაც მიაღწევს.

*– მოიმატა თუ არა საქართველოს ჩემპიონატის დონემ?*

– ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც მხოლოდ რამდენიმე მატჩს დავესწარი. თუ საქართველოს ჩემპიონატში „აიას“ დონის რამდენიმე გუნდი არის, მაშინ კარგი და საინტერესო პირველობა გვქონია.

*– საქართველოს ნაკრების მატჩებს თუ ადევნებდით თვალს?*

– რა თქმა უნდა. ახალ ზელანდიაში ჩვენი ეროვნული გუნდის გამოსვლა დადებითად უნდა შევაფასოთ. ჩვენს ნაკრებს მსოფლიო რაგბის ბობოლებთან თამაშის გამოცდილება აკლია . უფრო მაღალ დონეს რომ მივაღწიოთ, ამისთვის ძლიერ გუნდებთან ხშირი შეხვედრებია საჭირო.

***– ცოტა ნოსტალგიურ თემაზე გადავერთოთ. 25 წელი გავიდა მას შემდეგ რაც თქვენმა გაწვრთნილმა „მშენებელმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად მოიპოვა.***

– იმ გუნდის წარმატება ცოტა უფრო ადრე დაიწყო. აწ გარდაცვლილების, რომან ბეჟუაშვილისა და თამაზ ბერეკაშვილის ხელშეწყობით პირველები ვიყავით, რომელსაც საკუთარი ბაზა ჰქონდა თავისი მოედნით. ისინი მართლაც დიდ საქმეს გვიკეთებდნენ. მათთან ერთად ძალიან გვეხმარებოდნენ ქუთაისის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ ყანჩაველი და კლუბის პრეზიდენტი თემურ ჩეჩელაშვილი. მათი დამსახურებაა, რომ „მშენებელი“ დიდ სიმაღლეზე გავიდა და 1987 წელს პირველად მოვიპოვეთ ჩემპიონობა. მონინოელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ, თუმცა ზედიზედ ორი მატჩი მოვუგეთ სუპერფინალში. ჩემპიონები უკვე თბილისში ჩამოგვიყვანეს და „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის შესვენებისას საპატიო წრე დაგვარტყმევინეს. მე წინ მივუძღოდი გუნდს და ტრიბუნიდან ვიღაცამ დამიძახა, მიდი, იასონ, არ გაჩერდეთო. სიმბოლური პრემიებიც გადმოგვცეს – 200-200 მანეთი. ქუთაისში კი უკვე ყველა გვცნობდა, თუმცა მაყურებელი არც მანამდე გვაკლდა. ყველაზე პრინციპული თამაში იმ სეზონში კრასნოიარსკში მოვიგეთ. თვითმფრინავი თავის დროზე არ გაფრინდა, ბევრი გვაწვალეს, შემდეგ კი კრასნოიარსკში ჩასულებს გამოგვიცხადეს დღესვე უნდა ვითამაშოთო და თითქმის თვითმფრინავიდან გავედით სათამაშოდ. საშინელი ტალახი იყო მოედანზე, თამაში ჭირდა. ლელო დაგვიდეს და ვაგებდით, მაგრამ ნუგზარ ძაგნიძემ ორი ჯარიმა გაიტანა და 6:4 მოვიგეთ. აღსანიშნავია, რომ ძაგნიძემ მეორე ჯარიმა 62 მეტრიდან გაიტანა – ეს მართლაც საოცარი და წარმოუდგენელი იყო. ამის გარდა ძაგნიძე გარკვეული დროით წაგვართვეს – ჯარში გაიწვიეს და ტაშკენტში იხდიდა სავალდებულო სამსახურს. თუმცა, მაინც ვახერხებდით და სათამაშოდ ჩამოგვყავდა. ეს რომ გაიგეს მოსკოვში, ნუგზარი ტაშკენტიდან შორეულ საზღვრებთან გადაისროლეს და 3 თვე მის გარეშე ვითამაშეთ. მათ შორის სუპერფინალი მონინოელებთან, რომელიც მართლაც ძალიან ძლიერი გუნდი იყო. 9 საბჭოთა კავშირის ნაკრების მორაგბე თამაშობდა, მათ შორის – საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი მორაგბე მირონოვი. აქვე მინდა ის მორაგბეები გავიხსენო, რომლებიც გარდაცვლილები არიან.

***– არც გაჩერებულხართ – შემდეგ კიდევ ორჯერ მოიგეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და მეტჯერ აღარც ჩატარებულა.***

– 1987 წელს დუბლი შევასრულეთ, 88-89 წლებში კიდევ ორჯერ მოვიგეთ ჩემპიონობა და 1990 წელს თასი. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რომ გაგრძელებულიყო, სულ ჩემპიონები ვიქნებოდით. თაობაც ძალიან ძლიერი მოდიოდა.

***– რა იყო ამ წარმატების საიდუმლო და ძირითადად რის ხარჯზე ახერხებდა გუნდი წარმატებას?***

– დისციპლინა, მეგობრობა, თავდადება, ფიზიკური მომზადება, რწმენა – ეს კომპონენტები აუცილებლად საჭიროა გუნდში და ჩვენც გვქონდა. რაც შეეხება სათამაშო მხარეს, შერკინებაში ძალიან ძლიერები ვიყავით, წინ ვერავინ გვიდგებოდა, ძაგნიძე კი საოცარი სიშორიდან საოცარი სიზუსტით ურტყამდა კარში.

***– შემდეგ იყო საქართველოს ჩემპიონატი და მალე ქვეყანაც დატოვეთ.***

– გუნდს უკვე „აია“ დაერქვა და ორჯერ გავხდით კიდეც საქართველოს ჩემპიონები. მაშინ „ბაკალეის“ მმართველად ვმუშაობდი, თუმცა დახურვის პირას იყო. ვთხოვე მეგობრებს, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს, რომ მორაგბეებისთვის სიმბოლური თანხა, 30-40 ლარი მაინც მიეცათ, მაგრამ არც ეს მოხერხდა და გუნდი დავტოვე. მეც მომიწია საქართველოდან წასვლამ, მოსკოვში 2 სეზონი რუსეთის ნაკრების გუნდის უფროსი ვიყავი, შემდეგ – ნოვოკუზნეცკის მწვრთნელ-კონსულტანტი, მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი, „ბურევესტნიკის“ ვიცე-პრეზიდენტი.

***– საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა?***

– არანაირი. ერთადერთი, როდესაც ვეტერანთა კავშირის პრეზიდენტად ირაკლი კიზირია დატოვეს, გივი მრელაშვილთან და ავთანდილ ლიბრაძესთან ერთად ვიცე-პრეზიდენტად მეც ამირჩიეს.

***– გაქვთ სურვილი, ისევ დაუბრუნდეთ რაგბის?***

– ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს.

# საქართველო — უკრაინა 1:3

თბილისი. მიხეილ მესხი

*0:1 ლუჩკევიჩი (9), 0:2 ბორიაჩუკი (58), 0:3 ტრეტიაკოვი (69), 1:3 თევზაძე (78)*

**საქართველო:** გოშაძე, შულაია, მალანია, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, გელაშვილი, ხარაიშვილი, მესხი (რომან ჭანტურია 41; ჩაბრაძე 76), ზარანდია, კერძევაძე

**უკრაინა:** სოლდატენკო, კურიუხანცევი, ლუჩკევიჩი (ტრეტიაკოვი 52), მაკოჰონი, კუკსენკო (იაროვოვი 41), შატენკო, ლუკიანჩუკი, ვაჩიბერაძე, არენდარუკი, კოვალენკო (ორიხოვსკი 65), ბორიაჩუკი

უსახური და უფანტაზიო ფეხბურთი – ასე შეიძლება დავახასიათოთ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თამაში უკრაინელ თანატოლებთან. მეტოქე ყველა კომპონენტში სჯობდა გიორგი დევდარიანის შეგირდებს. ქართველებიდან წაგებულ მატჩი საუკეთესო მეკარე იყო, თუმცა უშეცდომოდ არც მას უთამაშია.

მე-9 წუთზე დენის არენდარუკმა საჯარიმოში ჩააწოდა და ვალერი ლუკჩევიჩმა თავით ისე დაარტყა, მცველები მხოლოდ თვალს ადევნებდნენ – 0:1.



გაშვებულმა გოლმა ქართველები ცოტა დააბნია, რითაც შეტევების შანსი სტუმრებს მიეცათ, თუმცა ქართველთა მეკარე გოშაძე დამაჯერებლად თამაშობდა. მე-19 წუთზე არენდარუკს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და მცველი გადაეღობა, დამატებაზე კი უკრაინელთა რიგებში მოთამაშე ქართველი ვაჩიბერაძე ოდნავ არაზუსტი იყო. 22-ე წუთზე გოლის ავტორი ლუჩკევიჩი მასპინძელთა მცველს დაუსხლტა და მეკარესთან ერთი-ერთზე მყოფ კოვალენკოს დაუგორა, აქ უკვე მეკარემ იყოჩაღა.

პირველ ტაიმში ქართველებს ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, როცა ლუკა ზარანდია რამდენიმე მეტოქეს გასცდა და ოდნავ ააცილა კარს. ქართველთა გოლის გარდა, ეს ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო 80 წუთის განმავლობაში.

ტაიმის ბოლო წუთებში ქართველთა მეკარე ოთო გოშაძემ ორჯერ იყოჩაღა: ჯერ პირისპირ გასულ ანდრეი ბორიაჩუკს არ გაატანინა, ორ წუთში კი არენდარუკის ახლოდან დარტყმული მშვენიერ ნახტომში მოიგერია.

მეორე ტაიმის დასაწყისში დევდარიანმა ნახევარმცველი ცოტნე მესხი გაიყვანა და თავდამსხმელი რომან ჭანტურია შემოიყვანა, ხოლო კერძევაძე მის უკან დახია. წესით, ქართველთა შეტევები უფრო სახიფათო უნდა გამოსულიყო, თუმცა მეორე ტაიმში სტუმრებმა ფიზიკურ მომზადებაში აშკარად დაჯაბნეს ქართველი თანატოლები და ქართველთა მეკარეს საქმე არ გამოლევია.

მასპინძელთა მეკარემ მეორე ტაიმის დასაწყისშიც არაერთხელ გადაარჩინა გუნდი და ათწუთიან მონაკვეთში არენდარუკს, კოვალენკოსა და იაროვოვს აუღო რთული ბურთები.

თუმცა, გოშაძეც უძლური გახდა, როდესაც ჯერ ბორიაჩუკმა გაუტანა თავით, შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა მაქსიმ ტრეტიაკოვმა ახლოდან უშანსოდ დატოვა მეკარე. 0:3-ზე კიდევ ერთ გოლს გადავურჩით – არენდარუკმა შორიდან ხარიხას მოარტყა ბურთი.

78-ე წუთზე გიორგი ხარაიშვილმა მარჯვენიდან ჩააწოდა, სტუმართა მეკარემ კარი დაკარგა და გიორგი თევზაძემ თავით ზუსტად დაარტყა – 1:3.

ბექა ვაჩიბერაძეც, უნდა ვახსენოთ, რომელიც უკრაინის ნაკრებში საკმაოდ კარგად თამაშობდა. დონეცკის „შახტარის“ ახალგაზრდული გუნდის ნახევარმცველი ნიჭიერი ბიჭია, პასებს მშვენივრად ანაწილებდა და შეტევებს იწყებდა. ბექა ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელის, ზაზა ვაჩიბერაძის ვაჟი გახლავთ.

**მატჩის შემდეგ:**

ალექსანდრ გოლოვკო, უკრაინელთა მწვრთნელი:

– თავიდან გარკვეული ნერვიულობა იყო ჩვენი მხრიდან, თუმცა სწრაფი გოლის გატანამ ეს მოგვიხსნა. შედეგი ჩვენთვის ყოველთვის პირველ პლანზე დგას. საქართველოს ნაკრების თამაშები ნანახი გვქონდა, შევისწავლეთ მეტოქის დადებითი მხარეები და ეს კარგად გამოვიყენეთ კიდეც.

**გიორგი დევდარიანი, ქართველთა მწვრთნელი:**

– გვაჯობეს და დამსახურებულად მოგვიგეს. შეიძლებოდა, უფრო დიდი ანგარიშითაც წაგვეგო. ახალგაზრდები არიან და შესაძლოა, ნერვიულობდნენ. ვერ გეტყვით, რომ შემდეგი მატჩისთვის შემადგენლობა დიდად შეიცვლება, თუმცა ვეცდებით, შოტლანდიასთან და ლუქსემბურგთანაც დადებითი შედეგი ვაჩვენოთ. ცოტნე მესხის შეცვლის მიზეზი? მისი ფიზიკური კონდიციები ისეთი ვერ არის, როგორც საჭიროა. ამ ეტაპზე მესხი 40-50 წუთის შემდეგ იღლება. მის ნაცვლად რომან ჭანტურია შევიყვანე. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ აქამდე ჭანტურია საქმეში ვერ ვნახე. ჩვენ ვითამაშეთ ორ ტურნირზე, თუმცა ის არ გვყოლია გუნდში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2 თვეზე მეტია, რაც 17-წლამდელთა ნაკრებს უცხოურ გუნდთან მატჩი არ გაუმართავს. მოსამზადებელ პერიოდში მთავარი პრობლემა ეს იყო და გუშინაც ვთქვი.

ჩვენივე ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა – შოტლანდიის ნაკრებმა 5:2 მოუგო ლუქსემბურგელებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| 2.უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3.საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| 4.ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |

## ფეხბურთი

**ინგლისი. ლიგის თასი**

ლიდსი-საუთჰემპტონი ........ 3:0
რედინგი-არსენალი ........ 5:7(დდ)
სანდერლენდი-მიდლსბრო ........ 0:1
სვინდონი-ასტონ ვილა ........ 2:3
უიგანი-ბრედფორდი ........ 0:0(2:4პ)

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ლიაგოსტერა-ვალენსია ........ 0:2
ალავესი-ბარსელონა ........ 0:3

**იტალია. სერია ა**

პალერმო-მილანი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 19:4 | 22 |
| 2.ნაპოლი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| 3.ლაციო | 8 | 6 | 0 | 2 | 15:8 | 18 |
| 4.ინტერი | 8 | 6 | 0 | 2 | 13:6 | 18 |
| 5.რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 18:13 | 14 |
| 6.ფიორენტინა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| 7.კატანია | 8 | 3 | 2 | 3 | 9:13 | 11 |
| 8.სამპდორია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 10 |
| 9.ტორინო | 8 | 2 | 4 | 2 | 9:5 | 9 |
| 10.ჯენოა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| 11.უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| 12.პარმა | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| 13.მილანი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:12 | 8 |
| 14.ატალანტა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:12 | 8 |
| 15.კალიარი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:11 | 8 |
| 16.ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 9:11 | 7 |
| 17.პალერმო | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | 7 |
| 18.კიევო | 8 | 2 | 1 | 5 | 7:15 | 7 |
| 19.პესკარა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:15 | 7 |
| 20.სიენა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:10 | 2 |

## შედეგები

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-სასუოლო ........ 1:3
ასკოლი-ნოვარა ........ 2:0
ბარი-ემპოლი ........ 2:3
ვარეზე-ვიჩენცა ........ 1:1
კროტონე-ვერონა ........ 3:3
ლანჩანო-ლივორნო ........ 1:1
მოდენა-პადოვა ........ 0:0
პრო ვერჩელი-სპეცია ........ 1:0
ჩეზენა-გროსეტო ........ 3;2
ჩიტადელა-ბრეშია ........ 1:1
იუვე სტაბია-რეჯინა ........ 1:0

**გერმანია. თასი**

ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი ........ 0:2
ალენი-დორტმუნდი ........ 1:4
მაინცი-აუე ........ 2:0
ჰეველსე-ბოხუმი ........ 1:3

*ბოხუმელთაგან ერთი გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა*

შალკე-ზანდჰაუზენი ........ 3:0

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

სოშო-სენტ ეტიენი ........ 0:3
მონაკო-ტრუა ........ 1:2
რენი-არლე ........ 1:0
ლილი-ტულუზა ........ 1:0(დდ)

**რუსეთი. თასი**

ენისეი-სკა-ენერგია ........ 1:0
მორდოვია-ზენიტი ........ 0:2
ყუბანი-კრასნოდარი ........ 1:0
როსტოვი-სპარტაკი ........ 0:0(3:2პ)

*სპარტაკელთაგან ერთი პენალტი ჯანო ანანიძემ გაიტანა*

**ბელგია. პრილიგა**

ანდერლეხტი-გენტი ........ 5:0

## ჩოგბურთი

**აჭპ. პარიზი. პარლი**

ნიშიკორი-პერი ........ 7:6;6:2
ვავრინკა-ბერლოკი ........ 6:3;6:2
ცონგა-ბენეტო ........ 6:2;4:6;7:6
ბერდიხი-სეპი ........ 7:6;6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო კონფერენციების ცილკის „იდენტობა და კულტურა" ფარგლებში საჯარო ლექცია გაიმართება, რომელსაც საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი წარმოადგენს. თემაზე „რელიგია და პოლიტიკური იდენტობები პოსტსაბჭოთა საქართველოში" მოხსენებას წაიკითხავს სილვია სერანო – რუსული, კავკასიური და ცენტრალური ევროპის კვლევების ცენტრის ასოცირებული მკვლევარი. ლექციაზე დასწრება თავისუფალია და ის წარიმართება ფრანგულად სინტრონული თარგმანით.

– სილვია სერანო პოლიტიკური მეცნიერების ლექტორი ოვერნის უნივერსიტეტში რუსული, კავკასიური და ცენტრალური ევროპის კვლევების ცენტრის ასოცირებული მკვლევარია, ის არის კავკასიის სპეციალისტი და განსაკუთრებით იკვლევს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას კავკასიაში, გლობალიზაციისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების გავლენას, განსაკუთრებით ნავთობის სფეროში, კავკასიურ პოლიტიკასა და მის საგარეო გამოვლინებებზე და, აგრეთვე, იდენტობისა და ახალი რელიგიურობის მშენებლობას კავკასიაში. სილვია სერანოს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო სტატია და იგი ავტორია ნაშრომისა „საქართველოს იმპერიიდან გამოსვლა", რომელიც სამეცნიერო კვლევების ეროვნულმა ცენტრმა ხუთი წლის წინ გამოსცა, – ამბობს ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენელი მარიამ კვესელავა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლის ანა ვერულაშვილის თქმით:

– სილვია სერანო აანალიზებს საქართველოში რელიგიის გაზრდილი მნიშვნელობის დამადასტურებელ ნიშნებს. კერძოდ, მისი მიზანია გამოიკვლიოს რელიგიურობის ამგვარი გამოცოცხლება, რაც განსხვავდება სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებში არსებული სიტუაციისაგან. ის ცდილობს, გაერკვეს არა მხოლოდ იმ რაციონალურად და განზრახ წარმართულ პროცესებში, რომლებსაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მიმართავს ელიტა და რასაც რელიგიის „ინსტრუმენტალიზაცია" შეგვიძლია ვუწოდოთ, არამედ, ასევე იმ ისტორიულ და სტრუქტურულ კონფიგურაციებში, რომლებმაც მოათავსეს მართლმადიდებლობა პოლიტიკის საჯარო გამოხატულების შუაგულში.

პირველ ნოემბერსვე ფრანგული კინო კლუბი თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში წარმოადგენს 2011 წლის საუკეთესო კომედიას ინგლისური სუბტიტრებით, ფილიპ ლე გეს ფილმს „ქალები მეექვსე სართულიდან", რომელზეც დასწრება თავისუფალია.



ფრანგულმა ინსტიტუტმა უკვე უმასპინძლა ხათუნა მზარელუას საჯარო ლექციას სახელწოდებით „ჟიზელი მოკვდა, გაუმარჯოს ჟიზელს!". ეს საღამო ბალეტისადმი იყო მიძღვნილი და ევროპის გაიმართა. მისი წამყვანი ფილოსოფოსი, ჟურნალისტი და თანამედროვე ცეკვის მკვლევარი, ხათუნა მზარელუა გახლდათ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში კი გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „თბილისელი ფრანგების როლი XIX საუკუნის კავკასიის კულტურულ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში", რომლის მომხსენებელიც გახლდათ ედიტ იბერი – რუსული, კავკასიური და ცენტრალური ევროპის კვლევების ცენტრის ასოცირებული წევრი. მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო და ლექცია მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით.

– ედიტ იბერი თურქების, ოტომანების, ბალკანელებისა და ცენტრალური აზიის კვლევის ცენტრთან არსებული რუსული, კავკასიური და ცენტრალურ ევროპული ხალხების კვლევის ცენტრის ასოცირებული წევრია. 1984 წელს ისტორიის მესამე ციკლზე მან დაიცვა დოქტორის ხარისხი თემაზე „აღმოსავლეთის ხალხების პირველი კონგრესი". ერთ-ერთ გამომცემლობაში გაკეთებული პროფესიული კარიერის შემდეგ, სადაც გასული საუკუნის 90 წლებიდან მას ეკავა ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების რედაქციის, მათ შორის ისტორიის, პოლიტიკის, რელიგიებისა და თავდაცვის სექტორებში, გენერალური მდივნის თანამდებობა, კვლავ აგრძელებს კვლევებს კავკასიის მუსულმანების, განსაკუთრებით მათი ინტელიგენციის, ისტორიასა და აგრეთვე, ცარისტული პერიოდის ბოლოს რუსულ ორიენტალიზმზე, რომელიც XIX საუკუნიდან 1920-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს.

# კახი კავსაძემ ივანე მუხრანბატონის როლი მოირგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ღვინის, როგორც მეფურად კეთილშობილი სასმელის წარმოების ტრადიცია. სამუშაო ჯგუფის მთავარი მიზანია მაყურებლამდე მიიტანოს „შატო მუხრანის" უნიკალური ისტორია, რომლითაც ყველა ქართველს შეუძლია იამაყოს, – აცხადებს ელენე ოთარაშვილი.

მისივე თქმით, სცენარის შექმნას წინ უძღოდა უამრავი ისტორიული წყაროს გამოკვლევა, ივანე მუხრანბატონის ცხოვრების, მისი საქმიანობისა და ღვაწლის შესწავლა.

– ამ ფილმში მოქმედება დაიწყება XIX საუკუნეში და გაგრძელდება XXI საუკუნეში. საფრანგეთში აღიარების შემდეგ, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოებული ივანე მუხრანბატონი ბრუნდება მუხრანის სასახლეში. ეტლიდან გადმოსულ მუხრანბატონს მისი მოურავი ეგებება. დანარჩენს კი მაყურებელი სულ მალე იხილავს. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ნანა ჯანელიძის მიერ გადაღებული „შატო მუხრანის" საიმიჯო რგოლი რეალურ ისტორიას გააცოცხლებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „შატო მუხრანი" პირველი ქართული შატოა, რომლის საქმიანობაც ეფუძნება მეღვინეობის იმ უნიკალური ტრადიციის გაგრძელებას, რომელიც შექმნა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა – ივანე მუხრანბატონმა ჯერ კიდევ 1878 წელს. „შატო მუხრანმა" მსოფლიოს მასშტაბით დაიმკვიდრა სახელი თავისი შესანიშნავი სასახლით, ძველი მარნებით, ლამაზი ბაღებით, ვენახებითა და საჯინიბოთი. 1882 წლის პირველი რთველის შემდეგ „შატო მუხრანის" ღვინომ მაღალი შეფასება დაიმსახურა და მრავალი ჯილდოს მფლობელი გახდა მსოფლიო ასპარეზზე. მუხრანბატონის მეურნეობის განახლებისა და მის ტრადიციაზე ახალი წარმოების შექმნის იდეა განახორციელა დამფუძნებელთა ჯგუფმა – ბიზნესმენებმა მამუკა ხაზარაძემ, ბადრი ჯაფარიძემ, ჟაკ ფლორიმ (საფრანგეთი) და ფრედერიკ პოლსენმა (შვედეთი). კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია პეტერ სვაეტიჩინი. დღეს კომპანია ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ ქარხანას და 100 ჰექტარ ვენახს, სადაც გაშენებულია ქართული და ევროპული ვაზის ჯიშები. ღვინის წარმოებას წარმართავს მსოფლიოს სამეღვინეო წრეებში აღიარებული სპეციალისტი ვლადიმერ უზუნაშვილი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა საფრანგეთის, ავსტრალიისა და იაპონიის მსხვილ ღვინის მწარმოებელ კომპანიებში, არის 60 ღვინის ავტორი და 120 მედლის მფლობელი. „შატო მუხრანმა" საქართველოს ღვინის ბაზარზე დაამკვიდრა ღვინის ახალი კატეგორია – სუპერ პრემიალური ღვინო. ნაყოფიერი მიწისა და ისტორიის, ტრადიციებისა და უახლესი ტექნოლოგიების ჰარმონიულმა შერწყმამ შექმნა ის შედევრი, რასაც ჩვენ „შატო მუხრანის" ღვინოებს ვუწოდებთ. აღსანიშნავია, რომ ახლახანს, ივანე მუხრანბატონის დაბადებიდან 200 წლისთავზე, კომპანიამ დაასრულა გრანდიოზული ისტორიული პროექტის მეორე ეტაპი – ივანე მუხრანბატონის უნიკალური სასახლის, მიწისქვეშა მარნებისა და საჯინიბოს რეკონსტრუქცია. აღდგენილი მუხრანბატონის სასახლე მალე კვლავ გახდება კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, სადაც ისეთივე პომპეზურობით შეხვდებიან სტუმრებს, როგორც ეს ივანე მუხრანბატონის სიცოცხლეში ხდებოდა. „შატო მუხრანის" გუნდი მხოლოდ უმაღლეს შედეგებზეა ორიენტირებული და ეს შედეგები უახლოეს ხანში გახდება ცნობილი მსოფლიო საზოგადოებისათვის, – განაცხადა ელენე ოთარაშვილმა.

ივანე მუხრანბატონის საგვარეულო მამულში აღდგენილი მუხრანბატონების სასახლე და ისტორიული მემკვიდრეობა უკვე ნებისმიერი დამთვალიერებლისთვის ღიაა. თიბისი ბანკმა და „შატო მუხრანმა" ორიოდე კვირის წინ პირველად მისცა დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, გაცნობოდა მუხრანბატონის ისტორიული მემკვიდრეობას, „შატო მუხრანის" ვენახებსა და მაღალტექნოლოგიურ ქარხანას.

– სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ ტრადიციულ რთველში და ყურძნის ძველი წესით დაწურვაში, ასევე მათთვის მოეწყო შემოდგომის ფესტივალი ტრადიციული ქართული აქტივობებით – ჩურჩხელების ამოვლებით, ჭაჭის გამოხდით, თონეში პურის ცხობით და სხვა ქართული საქმიანობებით. ღონისძიების მეორე ნაწილში სტუმრებს ელოდათ ბაგრატიონთა საუცხოო ტყე-პარკში მოწყობილი კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით. მიწვეული სტუმრებისთვის წარმოდგენილი იყო უგემრიელესი ქართული კერძები და „შატო მუხრანის" პრემიუმ კლასის ღვინოები. ამ ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ქართული ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საზოგადოების სხვა ცნობილი სახეები, – აღნიშნა ელენე ოთარაშვილმა.

განახლებული სასახლის გრანდიოზული პრეზენტაცია ივანე მუხრანბატონის დაბადებიდან 200 წლისთავზე შედგა. ამ იუბილესთან დაკავშირებით კომპანიამ „შატო მუხრანი" დაასრულა გრანდიოზული ისტორიული პროექტის მეორე ეტაპი – ივანე მუხრანბატონის უნიკალური სასახლის, მიწისქვეშა მარნებისა და საჯინიბოს რეკონსტრუქცია.

– სტუმრებმა პირველად იხილეს აღდგენილი მუხრანბატონის სასახლე. სასახლის ფასადმა სრულად დაიბრუნა პირვანდელი სახე. მალე დასრულდება სასახლის ინტერიერიც, მოეწყობა ვახტანგ მეექვსეს, ვახუშტი, პეტრე, ალექსანდრე და სხვა ცნობილ ბაგრატიონთა სალონები, დასრულდება 4.000 კაციანი ამფითეატრი და აღდგენილი მუხრანბატონის სასახლე კვლავ გახდება კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, სადაც ისეთივე პომპეზურობით შეხვდებიან სტუმრებს, როგორც ეს ივანე მუხრანბატონის სიცოცხლეში ხდებოდა, – განმარტავს კომპანიის წარმომადგენელი.

მისივე თქმით, დღეს უკვე უამრავ ქართველ და უცხოელ სტუმარს იზიდავს „შატო მუხრანში" მოწყობილი ღვინის ტურები და სხვა მრავაფეროვანი ღონისძიებები. აქ მოსულ სტუმრებს არაჩვეულებრივ ქართულ ღვინოსთან ერთად, ბაგრატიონთა ისტორიის ამსახველი დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ელოდებათ.

სპორტი

# ქართველები კვლავ იგებენ!

პორტუგალიაში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მეორე მატჩი მოიგო. ამჯერად კიდევ უფრო დიდი ანგარიშით 55:6 ბელგიელები დაამარცხეს.

მოწინაალმდეგეს 9 უპასუხო ლელო გავუტანეთ და თამაში სრულად ჩვენი კარნახით წარვმართეთ. რაც ყველაზე სასიხარულოა, გუნდმა ძალიან დალაგებული და გააზრებული თამაში აჩვენა.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიაში ორ საუკეთესო ადგილზე გასული გუნდი (გამარჯვებული და ფინალისტი) მომავალ წელს ინგლისთან, საფრანგეთთან, უელსთან, ირლანდიასთან, შოტლანდიასთან და იტალიასთან ერთად ითამაშებს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტდივიზიონში.

ტურნირი წრიული სისტემით ტარდება და ორგანიზატორებს თამაშები იმგვარად აქვთ დაგეგმილი, რომ ჩვენს ნაკრებს ბოლო მესამე მატჩი მასპინძელ პორტუგალიასთან გაემართა. პორტუგალიელებმა პირველი მატჩი ბელგიელებთან მოიგეს და წესით, დღეს გერმანელების დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მომავალი მოწინააღმდეგის, პორტუგალიის მატჩის სანახავად იმყოფებოდა, ამიტომ ბელგიასთან მატჩის მიმოხილვა ნაკრების მენეჯერ ზურაბ ამონაშვილმა გააკეთა.

**ზურა ამონაშვილი:**

– ძალიან კარგი თამაში იყო, არ შეიძლება არ აღინიშნოს მწვრთნელების მუშაობა, რომლებმაც ზუსტად შეისწავლეს ბელგიელთა ძლიერი და სუსტი მხარეები. მოხდა მოწინააღმდეგის თამაშის დეტალური განხილვა, მოთამაშეებს მიეცათ კონკრეტული დავალებები რომელიც ბიჭებმა ზედმიწევნით შეასრულეს. დაბალანსებული იყო შერკინებისა და ხაზის თამაში რაც ბელგიელთათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ჩვენს მიერ გატანილი ლელოების უმეტესობა იყო კარგად გააზრებული და ზუსტად შესრულებული კომბინაციური და გუნდური თამაშის შედეგი. ბელგიელებმა რამდენიმეჯერ სცადეს სათამაშო სტილის შეცვლა, თუმცა ჩვენები დაცვაში უშეცდომოდ თამაშობდნენ და მოწინააღმდეგის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. შერკინებაში მოპოვებული უპირატესობის შემდეგ ბურთი სწრაფად გამოდიოდა ხაზზე რაც ბელგიელებს აიძულებდა უკან დაეხიათ და დაცვაში ნაპრალები დაეტოვებინათ, რასაც ბიჭები კარგად იყენებდნენ. ტაიმის ბოლოს როდესაც უკვე დიდი ანგარიშით ვიგებდით, ბიჭები ცოტათი მოეშვნენ და დაცვაში რამდენიმე შეცდომა დავუშვით, თუმცა შესვენებაზე მწვრთნელებმა ზუსტი მითითებები მისცეს და თამაში გამოვასწორეთ. შედეგით კმაყოფილები ვართ, თუმცა სამუშაო კვლავაც არის და ვეცდებით პორტუგალიასთან მატჩისათვის მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ. ხვალ ბიჭები დაისვენებენ, მხოლოდ ვიდეოანალიზი გვექნება, საღამოს ყველანი ერთად ჩვენი 19-წლამდელების საგულშემატკივროდ წავალთ.

ბოლო მატჩს ჩვენი 17-წლამდელები 2 ნოემბერს ჩვენი დროით 23:00 მასპინძელი პორტუგალიის წინააღმდეგ გამართავენ.

მ. ჟ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ავსტრიელი მწერალი; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 1. მოხეტიალე მომღერალი ძველ საბერძნეთში; 5. ცხენის ერთგვარი სვლა; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. ნავთობის, წყლის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. წყალზე მცურავი, მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარე; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. პოემა „სტუმარ-მასპინძლის" პერსონაჟი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქუთაისი; 2. თეორემა; 3. ადიულტერი; 4. სტელსი; 5. ტრანსი; 9. დასტა; 10. პრატერი; 14. პრიორიტეტი; 15. მორჩილაძე; 16. იდილია; 19. ფანდური; 20. კამორა; 21. პითონი.

**თარაზულად:** 6. ვუნდერკიდი; 7. როიტერი; 8. ბაიერი; 11. ლაფსუსი; 12. ამირა; 13. გერგეტი; 17. გოლზუორთი; 18. ანდალუზია; 22. კაბერნე; 23. იდიოტია; 24. ერისიონი; 25. ცერცვაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რობაია; 2. ტერცია; 3. ბერგმანი; 4. გინესი; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. კამერუნი; 12. მოლიერი; 16. ბორდო; 17. ღაწვი; 18. ტორტი.

**თარაზულად:** 1. როიტერი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9.ავიცენა; 10. დეპორტი; 13. ბოლნისი; 14. დარიკო; 15. რომი; 19. ჰილტონი; 20. სავოიარი; 21. პორტვეინი; 22. ლიმანი.

# სირიაში ქვეყნის ავიაციის გენერალი მოკლეს

სირიის ტელეარხების ცნობით, გუშინ, საღამოს დამასკოს ცენტრში ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალი მოკლეს.

გენერლის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა სირიის თავისუფალი არმიის მებრძოლებმა აიღეს. გენერალ მაჰმუდ ხალიდთან ერთად, საჰაერო ძალების დაზვერვის სერჟანტი აჰმეტ აბდულ ხაკიც დაიღუპა. თავისუფალი არმიის განცხადებაში საუბარია, რომ მათ ბედს გაიზიარებს ყველა ვინც რეჟიმთან ითანამშრომლებს.

ბოლო პერიოდში ამბოხებულების მიერ სირიის ხელმძღვანელობაზე თავდასხმები გახშირდა. ივლისში, აფეთქების შედეგად ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ასეფ შაუკატი მოკლეს.

სირიის სახელმწიფო ტელეარხის განცხადებაში საუბარია, რომ გენერალი მაჰმუდ ხალიდი ავიაციის სფეროში წამყვანი ექსპერტი იყო.

ქვეყანაში ფაქტობრივად შედეგი ვერ გამოიღო სირიაში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ლაჰდარ ბრაჰიმის ინიციატივამ, რომლის მიხედვითაც მუსლიმთა წმინდა დღესასწაულ ყურბან ბაირამზე კონფლიქტის მხარეებს ცეცხლი უნდა შეეწყვიტათ. მიუხედავად შეთანხმებისა, სირიის ქალაქებში ძალადობა და შეტაკებები არ შეჩერებულა.

ამ ფონზე, გაეროს მშვიდობის ელჩი და არაბული ლიგის წარმომადგენელი, ლაჰდარ ბრაჰიმი მიიჩნევს, რომ რუსეთმა და ჩინეთმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ სირიელი ხალხის დასახმარებლად, რომელიც უკვე წელიწად-ნახევარია სამოქალაქო ომისგან იტანჯება.

სწორედ ამ მიზნით ბრაჰიმი, რომელიც სირიაში დროებითი ზავის ინიციატორი იყო, შეხვედრებს მართავს რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებთან.

ორიოდ დღის წინ ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს შეხვდა. დღეს კი პეკინში ჩავიდა. გაეროს მშვიდობის ელჩი ჩინეთს მოუწოდებს უფრო აქტიურად ჩაერთოს სირიაში ცეცხლის შეწყვეტის მოგვარებაში.

„ჩინეთს შეუძლია აქტიური როლი ითამაშოს სირიის პრობლემის გადაჭრაში“, – განაცხადა ბრაჰიმიმ იანგ ჯეიჩთან მოლაპარაკებისას.



ჩინეთმა, რუსეთთან ერთად, უკვე სამჯერ დაბლოკა დასავლური მხარისა და არაბული ლიგის პროექტის რეზოლუცია, რომელიც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე მეტი ზეწოლის მოსახდენად იყო გამიზნული.

რუსეთი, ჩინეთი და ირანი სირიის ამჟამინდელი რეჟიმის მთავარ მხარდამჭერებად არიან მიჩნეულნი.

თურქული გამოცემის „ჰურიეთის“ ინფორმაციით კი, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ კატეგორიულად უარყო რუსეთის წინადადება სირიის ხელისუფლებასთან დიალოგი გაემართა.

„არანაირი აზრი არ აქვს სირიის რეჟიმთან საუბარს, რომელიც საკუთარ ხალხს ანადგურებს. მითუმეტეს ამის გაკეთება არ ღირს მსხვერპლშეწირვის დღესასწაულთან დაკავშირებით“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

დავითოღლუს განცხადებით, დიალოგი „არსებული რეჟიმის ლეგიტიმაციად შეიძლება იქცეს, რეჟიმისა, რომელიც ძალადობას განაგრძობს“.

სერგეი ლავროვმა დღეს დასავლეთს, აგრეთვე „აღმოსავლელ მოთამაშეებს“, მათ შორის თურქეთს მოუწოდა, დაეწყოთ სირიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები, რათა არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვონ.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისა და ოპოზიციის მომხრეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი წელიწად-ნახევარზე მეტია გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, არაოფიციალური მონაცემებით, 30 ათასი ადამიანია დაღუპული.

# ბინ ლადენი ობამას აფინანსებს

ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინასაარჩევნო შტაბში შემოწირულობა მივიდა, რომელიც გარდაცვლილ ტერორისტს უსამა ბინ ლადენს ეკუთვნის. სინამდვილეში ანგარიში საიტ „ვორლდნეტდეილის“ ჟურნალისტებმა, პაკისტანური სერვერიდან გადარიცხეს, რათა დაემტკიცებინათ, რომ ობამა შემოწირულობებს კანონდარღვევით იღებს.



პირველად ჟურნალისტებმა პაკისტანის აიპი სერვერიდან 15 დოლარი გააგზავნეს და გამგზავნის მისამართად ქალაქი აბოტაბადი დაასახელეს, სადაც ბინ ლადენი მოკლეს. შემომწირველის ვინაობის გრაფაში კი ბუნებრივია, უსამა ბინ ლადენი ჩაწერეს. გრაფაში საქმიანობა, ჟურნალისტებმა ჩაწერეს-ტერორისტების გარდაცვლილი ლიდერი, ხოლო სამუშაო ადგილად „ალ-ქაიდა“ დაასახელეს. მეორე დღეს ჟურნალისტებმა ობამას მისამართზე იგივე სერვერიდან კიდევ 5 დოლარი გააგზავნეს.

„ვორლდნეტდეილის“ ჟურნალისტების განცხადებით, ობამას შემოწირულობების საიტი ვერ ადგენს გამგზავნის მისამართს. ისინი აცხადებენ, რომ ობამასთვის არაკანონიერი შემოწირულობების შესახებ მასალებს ფსბ-სა და საარჩევნო კომისიას გადაუგზავნიან.

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ტელეკომპანია „ენ-ბი-სის“ გამოკითხვების მიხედვით, კანდიდატებს ზუსტად ერთნაირი რეიტინგი აქვთ. პრეზიდენტ ობამასა და რესპუბლიკელ მიტ რომნის პოპულარობა 47-47 პროცენტს შეადგენს.

# იაპონიის მთავრობა დაკარგულ მილიარდებს ეძებს

იაპონიის მთავრობის განცხადებით, მილიარდები, რომლებიც შარშან ცუნამისა და მიწისძვრის შემდეგ რეკონსტრუქციისთვის გამოიყო, გაქრა.



საუბარია გამოყოფილ 150 მილიარდ დოლარზე. ჩატარებული აუდიტის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოთხი პროექტი, რომლებმაც დაფინანსება მიიღო, სულაც არ ემსახურებოდა დაზარალებული რაიონების რეკონსტრუქციას.

თანხები სამხედრო პილოტების მომზადებისა და არადაზარალებული გზების მშენებლობას მოხმარდა, მაშინ, როცა ზოგიერთ რაიონში რეკონსტრუქციები არც დაწყებულა, ხოლო 300 000-ზე მეტი ადამიანი კი ჯერ კიდევ უსახლკაროა.

შარშან იაპონიაში მომხდარი ცუნამის შედეგად 15 8000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 3000-ზე მეტი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება, ხოლო ასიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

იაპონია კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოა, რომელშიც იმპერატორის ძალაუფლება ძალზედ შეზღუდულია. იაპონიის კონსტიტუციის თანახმად იმპერატორი არის „ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლო“. ძალაუფლებას სახელმწიფოში ფლობს პრემიერ-მინისტრი და პარლამენტი, ხოლო სუვერენიტეტს – იაპონელი ერი. იმპერატორი ეფექტურად მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს მეთაური დიპლომატიური საკითხების დროს.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი არის ასევე მთავრობის ხელმძღვანელი. თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება იაპონიის იმპერატორის მიერ პარლამენტის მიერ პიროვნების დამტკიცების შემდეგ. იაპონიის პრემიერ-მინისტრი დღევანდელ დღეს არის ნაოტო კანი, რომელიც ამ პოსტზე 2010 წლის 2 ივნისს აირჩა და გახდა იაპონიის 94-ე პრემიერ-მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად პრემიერ-მინისტრს იმპერატორი ნიშნავს, კონსტიტუციის თანახმად იმპერატორმა უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი პიროვნება, რომელსაც პარლამენტი წარადგენს.

# ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნები 2014 წლის აპრილში გაიმართება

ავღანეთის საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 2014 წლის 5 აპრილს გაიმართება.

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ, რომელსაც კონსტიტუციის მიხედვით მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევა ეკრძალება, უარყო გავრცელებული ხმები, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და 2014 წელს ქვეყნიდან საერთაშორისო ძალების გასვლა, არჩევნების ჩატარებას შეაფერხებს.

აღნიშნული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ჩატარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის. შეგახსენებთ, რომ წინა, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც ყარზაი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, ფართოდ საუბრობდნენ არსებული გაყალბების შესახებ.

ავღანეთის პრეზიდენტი ავღანეთის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურია, ირჩევს მოსახლეობა 5 წლის ვადით. ავღანეთი რესპუბლიკას წარმოადგენდა მხოლოდ 1973-1992 წწ. და 2001 წლიდან დღემდე.

# ერდოღანი: „2023 წლის შემდეგ ევროკავშირი თურქეთს დაკარგავს“

გუშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ თუ ევროკავშირი 2023 წლისათვის თურქეთს ორგანიზაციაში არ გააწევრიანებს, ევროკავშირი ამ ქვეყანას დაკარგავს. შეგახსენებთ, რომ თურქეთი არაერთი წელიწადია ორგანიზაციაში გაწევრიანებას ელოდება. ერთ-ერთი პირობა, რომლის გადაჭრასაც ევროკავშირი თურქეთს ავალებს კვიპროსის საკითხია.

გუშინ ბერლინში გამართული დისკუსიების დროს დასმულ შეკითხვაზე გახდება თუ არა თურქეთი ევროკავშირის წევრი 2023 წლისათვის, ერდოღანმა უპასუხა: „ისინი სავარაუდოდ 2023 წლამდე არ გვალოდინებენ, თუმცა თუ ასე მოხდა 2023 წლის შემდეგ ევროკავშირი თურქეთს დაკარგავს“.

2023 წელს თურქეთი რესპუბლიკის დაარსების ასი წლისთავს აღნიშნავს.



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომელიც ერდოღანს დღეს შეხვდება, თურქეთის ორგანიზაციაში სრულად გაწევრიანებას ეწინააღმდეგება და სანაცვლოდ პრივილეგირებულ პარტნიორობას სთავაზობს.

ცოტა ხნის წინ თურქეთის ეკონომიკის მინისტრმა ზაფერ კალაიანმა კრიტიკულად შეაფასა ევროკავშირისათვის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭება და აღნიშნა, რომ „ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც თურქეთს კარებთან აგერ უკვე 50 წელია ალოდინებს“.

რეჯებ თაიპ ერდოღანი თურქეთის პრემიერ-მინისტრია 2003 წლიდან, ასევე არის სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერი. 1994-98 წლებში იყო სტამბოლის მერი. იგი არის თურქეთის ევროინტეგრაციის მომხრე.

ერდოღანი დაიბადა სტამბოლში, არის ქართველი იმიგრანტების შთამომავალი, მისი წინაპრები გადასახლებულნი არიან ბათუმიდან რიზეში. ერდოღანმა ადრეული ბავშვობა გაატარა რიზეში და 13 წლის ასაკში დაბრუნდა სტამბოლში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



ვუსამძიმრებთ მეუღლე კოტეს, შვილებს ზვიადს, გოჩას, რძალ თამთას, შვილიშვილებს სიდონიას, ნიკოლოზს შესანიშნავი ქალბატონის

**ლუდა მიხეილის ასულ რეჟოვა-ფოჩხუას**

გარდაცვალებას.

თანავუგრძნობთ ნაზიკო, გივი ფოჩხუებს, ნათესავებს, მეზობლებს სიკეთით სავსე, ყველასათვის საყვარელი რძლის, ლუდას ზეციურ სამყაროში გადანაცვლებას...

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა... ელოცოთ თავისი საყვარელი და საფიცარი ოჯახისათვის...

*მიქაიების ოჯახი*

დაკრძალვა: შაბათს, 3 ნოემბერს.
მისამართი: მარტვილის რაიონი, სოფელი ლეფოჩხუე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „დავაბრუნოთ მსახიობები რუსთავის თეატრში“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

პრობლემაზე ადექვატურად რეაგირებენ. დიდი იმედი გვაქვს, რომ კულტურის სამინისტრო ბოლომდე ჩვენს პოზიციას გაიზიარებს და ეს ხალხი მშობლიურ თეატრს დაუბრუნდება. რუსთავში მწვავე კამათი ორ საათს გაგრძელდა. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ თეატრი განადგურების პირასაა. კირკიტაძემ რუსთავის 2012 წლის ბიუჯეტი წარმოგვიდგინა, რაც კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ რუსთავის თეატრში ფინანსური დარღვევებია. მმართველი, გეგი ლიპარტელიანი დღესაც აცხადებს, რომ ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებენ ნორმალურ ფუნქციონირებას. ასეთი, კარგი დაფინანსების პირობებში კი მსგავსი პრობლემები არ უნდა იყოს. რაში და რისთვის იხარჯება ეს ფული, ამას პროკურატურა გაარკვევს. ბიუჯეტის პროექტს ამ უწყებას გადავუგზავნით და საკითხს შეისწავლიან. როგორც აღვნიშნეთ, თეატრი პარალიზებული და მკვდარია. კირკიტაძე კი ამბობს, თეატრს ასეთი დაფინანსება კარგა ხანია არ ჰქონიაო. ვფიქრობ, თეატრის მესვეურებს ამაზეც პასუხისგება მოუწევთ.

ასევე, პრესკონფერენციის შემდეგ, გეგი ლიპარტელიანი გამოვიდა და ჩემგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. ბოდიში მან უნდა მოიხადოს, თეატრის და რუსთაველების წინაშე. ასეთი ცინიკური განცხადებები კი პირადად მას ვერაფერს შემატებს. პირიქით, პროკურატურაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევთ. იმედი გვაქვს მსახიობები სამუშაო ადგილებზე დაბრუნდებიან და რაც თეატრში ხდებოდა, ყველაფერი კანონიერად გაირკვევა და გადაწყდება.

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 1 ნიემბერი

07.30 „ჩვენი დილა„. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 მოამბე. 10.30 „დილის საუბარი„. 11.00 „სამოთხის ვაშლები„. 12.45 „პირადი ექიმი„. მარი მალაზონია. 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„. 15.00 სერ. „დეტექტივი„. 17.00 დოკ.ფ. „100 უდიდესი აღმოჩენა„. 18.00 სერ. „პეპე და მეგობრები„. 19.05 სერ.„ღირსება და პატივი„. 21.00 სერ. „საიდუმლო აგენტები„. 22.00 „დიალოგი დ.პაიჭაძესთან„. 23.00 თოქ-შოუ „არენა„. 00.00 მხ.ფ. „პატარა ბავშვები„ (კ. უინსლეტი) 02.40 მხ.ფ. „ატლანტა„ (ტიტ.) 04.30 მხ.ფ. „კაზანოვა„. (პ. ო ტული)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე). 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დრო. 11.00 დოკ.ფ. „დაკარგული პირამიდა„. 1 ს. 14.00 დოკ.ფ. „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ„. 5 ს. 16.00 დოკ.ფ. „რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა„. 4 ს. 19.00 დოკ.ფ. „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ„. 6 ს. 22.00 დოკ.ფ. „რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა„. 5 ს. 01.00 მხ.ფ. „ბეწვი„. (ნ. კიდმანი)

08.00 ან.ფ. „ტიმონი და პუმბა„. 09.00 სერ. „ცხელი ძაღლი„. 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„. 11.00 სერ. „უკვდავი ამბავი„. 12.00 სერ. „მემკვიდრეები„. 13.00 სერ. „გაქცევა„. 14.00 სერ. „თვალი არ მომაცილო„. 15.00 მხ.ფ. „ჩემი დედინაცვალი – უცხოპლანეტელია„. 17.00 სერ. „მოჯადოებული„. 18.00 სერ. „მენამული ცა„. 19.00 სერ. „სახიფათო ვნება„. 20.00 ქ.სერ. „ჟავა და ლუდი„. 21.00 სერ. „მემკვიდრეები„. 22.00 ქ.სერ. „ცხელი ძაღლი-2„. 1 ს. 23.00 „იმედის„ ტალღა. 00.00 სერ. „შერკინება„. 01.00 მხ.ფ. „თაფლობის თვე„ 02.40 „რემონტი„. 03.30 მხ.ფ. „წყალქვეშა საპყრობილე„ (ს. სიგალი) 05.05 მხ.ფ. „შავი ხვრელი„. 06.35 მუსიკა.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. „ქალის მსხვერპლი“. 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული“. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი. 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.30 კომედი შოუ. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„. 18.45 სერ. „მგზნებარე გული„. 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„. 22.00 პროფილი. 00.30MTV PUNK'D. 01.00 მხ.ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

08.00 ან.ფ. „ნოეს კიდობანი„. 08.55 სერ.„მისი სულის მუსიკა„. 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი. 10.00 მხ.ფ. 12.15 სერ. „ლარედოს ქუჩები„. 13.00 მხ.ფ. 15.15 პულსი (გან.) 15.45 დოკ.ფ. „ექსტრემალური ამბები„. 17.10 სერ. „ენი მწვანე სახურავების მამულიდან„. 18.00 მხ.ფ. 20.00 სერ. „ტყუპები„. 21.00 სერ. “გაუხსნელი საქმე„. 22.00 მხ.ფ. 00.20 მხ.ფ.

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.20 „დრო„. 09.00 მუსიკა. 09.30 დოკ. ფ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი. 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი. 11.50, 21.25 სერიალი „საგა„. 12.50, 19.35 სერიალი (გან.) 13.50 გადაცემა „სცენა„ (გან.) 15.15 დოკ.ფ. 16.00 დოკ.ფ. 16.30 დროის ვექტორი. 18.15 დოკ.ფ. 23.00 მხ.ფ. 00.35 მხ.ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი. 06.10, 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 06.30 მხ. ფილმი „მობი დიკი„. 1-2 ს. 08.00 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 ჩვენი ფონდი. 09.30 განთიადი. 10.00, 15.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30 ისტორიის დღიური. 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი. 10.40 დოკ. ფილმი „ანთიმოზ ივერელი„. 11.05 ირაო. 12.14 მხ. ფილმი „კეთილი ადამიანები„. 13.35 კონცერტი — ანდრე რიე. 15.10 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად. 15.35 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„. 16.00 მხ. ფილმი „ნუცას სკოლა„. 16.40 კვირიაკე 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 მხ. ფილმი „ცისკრის ზარები„. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.30 გზა, რომლითაც ვიარე. 22.25, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 23.00 საღამოს ლოცვა. 00.30 მხ. ფილმი „მობი დიკი„. 3-4 ს.

მაესტრო 07.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 14.30, 15.30, 16.30, 18.40, 06.30 უცხოეთის ამბები. 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ. ამინდი. 08.00, 09.00, 10.00. 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00. 02.00, 05.00, 06.00 ახალი ამბები. 08.30. 09.15 შალვა რამიშვილის დილა. 11.20, 22.00, 02.30 ყოველდღიური აბები. 11.35 მულტ.ს. „ბანანის რესპუბლიკა„. 11.50, 14.50, 18.50 კვირის აზრები. 17.10, 05.30 თოქ-შოუ „პირდაპირი საუბარი„. 19.05, 01.15 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„. 20.05, 02.50 თოქ-შოუ „არგუმენტები„. 22.20, 03.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„. 23.45, 04.45 აკრედიტაციის გარეშე. 00.20 სტუდენტური თოქ-შოუ „ფაკულტეტი„.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


ეროვნული ბიბლიოთეკა

**1 ნოემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6390

ევრო —2,1768

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

აღმოსავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 15-17.

დასავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21-23, ღამით — 16-17

სამხრეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 7-8

**ამინდის პროგნოზი 1 ნოემბრისთვის**





## 29 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“

ოთხტომეულის მე-2 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 5 ნოემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

რჩეული ქართული ზღაპრები

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი


## ასტროპროგნოზი 1 ნოემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – რთული საქმე გამოჩნდება, მაგრამ აუხვალთ. **კირჩხიბი** – ახალი შემოთავაზება საინტერესოა. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ფული გაქვთ, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გაქვთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთან საქმე აქვს. **თხის რქა** – დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში, ამდენი მუშაობა არ გარგებთ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, გიმართლებთ. **თევზები** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი ავსტრალიაში; 2. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 3. თანამედროვე ქართველი მწერალი; 4. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 10. მინერალი ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალა; 14. იტალიის არმიის, ელიტარული ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 16. ტბა კახეთში; 19. არგენტინელი მწერალი; 20. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 21. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო.

**თარაზულად:** 6. ბოტანიკური ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. აკრობატული სპორტული იარაღი; 11. საჭმლის სუნელ-სანელებელთა ერთობლიობა; 12. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ღებულობენ წითელი ფერის საღებავს; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 23. ბალახით დაფარული ვრცელი ველი; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული ტვირთმზიდაობა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## კახი კავსაძემ ივანე მუხრანბატონის როლი მოირგო

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავმა კახი კავსაძემ ახალი როლი მოირგო — მსახიობი არც მეტი, არც ნაკლები ივანე მუხრანბატონს განასახიერებს. ფილმის რეჟისორი ნანა ჯანელიძეა, რომელთანაც მსახიობს არაერთი ფილმი და ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობა აკავშირებს.



გადაღებები ივანე მუხრანბატონის (ბაგრატიონთა) საგვარეულო მამულში დაიწყო. როგორც კომპანია „შატო მუხრანის“ წარმომადგენელმა ელენე ოთარაშვილმა განაცხადა, ეს არის საიმიჯო რგოლი, რომელიც იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 45 წამში ჩატეული ორსაუკუნოვანი ისტორიით.

– ამ ფილმს იღებს ცნობილი რეჟისორი ნანა ჯანელიძე, ხოლო მთავარ გმირს – ივანე მუხრანბატონს ცნობილი მსახიობი კახი კავსაძე განასახიერებს. ამ ყველასთვის საყვარელი მსახიობის გარდა, ჩვენს საიმიჯო რგოლში მონაწილეობენ სხვა ცნობილი ქართველი მსახიობებიც – გია ბურჯანაძე (მუხრანბატონის მოურავი), აპოლონ კუბლაშვილი (მუხრანბატონთა ახალგაზრდა შთამომავალი). საიმიჯო რგოლში გაერთიანდება გაცოცხლებული ისტორიული გმირები და ეპოქა. ეს ყველაფერი ცნობილი კინოოპერატორის, გიორგი ბერიძის კამერის ობიექტივში მოხვდება. 45-წამიან საიმიჯო რგოლში გაცოცხლებული იქნება, თუ როგორ გადაეცემოდა თაობიდან თაობას მუხრანული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ლევან ახვლედიანი საერთაშორისო კომიტეტშია

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ადმინისტრაციულმა საბჭომ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი პლაჟის ფრენბურთის კომისიის წევრად დაამტკიცა.

**ლევან ახვლედიანი:**

– რა თქმა უნდა, ძალიან მეამაყება ეს ახალი თანამდებობა. მოგეხსენებათ, რომ 2002 წლიდან, 10 წლის განმავლობაში ვიყავი მსოფლიოში ფრენბურთის განვითარების კომისიის წევრი და ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებაში მივიღე მონაწილეობა. ეს ახალი გამოწვევაა ჩემთვის. ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ვიყავი პირველი ქართველი, რომელიც დაინიშნა ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკურ დელეგატად. შემდეგ კი ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მომანდო პლაჟის ფრენბურთში ფინალური მატჩის დირექტორობა. სპორტული ჩინოსნისთვის ეს უმაღლესი მიღწევაა და მაშინაც ამაყი ვიყავი, რომ ჩემს პატარა ქვეყანას წარმოვადგენდი. ლონდონშივე, პლაჟის ფრენბურთის განვითარების ჩემეული



ხედვა გავუზიარე საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებს და მათაც ჩემი გამოცდილების გამოყენება პლაჟის ფრენბურთის კომისიაში გადაწყვიტეს. თვითონ კომისია რამდენიმე წევრისაგან შედგება და სწორედ მათ მუშაობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება სპორტის ეს სახეობა მსოფლიო მასშტაბით 2012-2016 წლებში.

მ. ჟ.

## რუსები პოლონელი ექსპერტების დასკვნას „ბოდვას“ უწოდებენ

რუსი მფრინავი მაგომედ ტოლბოევი პოლონელი ექსპერტების შედეგებს ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავში აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერებების კვალის შესახებ, „ბოდვას უწოდებს“.

„პოლონეთმა არაადეკვატურობა გამოავლინა. რუსეთთან პრეტენზიები ზედმეტია. დანაშაული ფრენის არაორგანიზებულობაშია“, – აცხადებს ტოლბოევი.

პოლონური გაზეთის „რჟეჩპოსპოლიტას“ ინფორმაციით, თვითმფრინავის სალონში, ლეხ კაჩინსკის და სხვა მთავრობის წევრების სავარძლებზე ტროტილის და ნიტროგლიცერინის კვალია აღმოჩენილი. ეს ინფორმაცია გამოცემასთან პოლონეთის პროკურორმა ანჯეი სერემეტმაც დაადასტურა.

თუმცა, პოლონეთის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლის განცხადებით, სმოლენსკისთან ჩამოვარდნილ პრეზიდენტის თვითმფრინავის ნაწილებში ასაფეთქებლების კვალი აღმოჩენილი არ არის.

„ის რომ გამომძიებლებმა ნიტროგლიცერინისა და ტრინიტროტოლუოლის კვალს მიაგნეს სიმართლეს არ შეეფერება“, – განაცხადა ვარშავაში სამხედრო პროკურატურის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ირენეუშ შელონგმა.



შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკში ტუ-154-ის ჩამოვარდნას 96 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მეუღლესთან ერთად.

გ. მ.